

საბავშვო გეგმიკონსტრუქცია



საუბარი ჩვენი ურანლის გვითხვალათ.

არა მარტო თავის სახლში შეუძლიათ ბავშვებს ისარგებლონ ჟურნალ-გაზეთით—ის წარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესო დამხმარე საშუალებას და სახელმძღვანელოს აგრეთვე კოლექტივის და სკოლის მუშაობაში. ამის მიხედვით კი შეიძლება იმით, რომ თვითვე პიონერს, წაიკითხავს რა ჟურნალს, შეუძლია მისგან ამოკრიფოს, გაიგოს მრავალი ახალი საინტერესო და სასარგებლო რამ თავისი კოლექტივისათვის, თავისი სკოლისათვის.

ავიღოთ მაგალითისათვის ჟურნალის კითხვა. ხშირია ისეთი შემთხვევა, რომ პიონერისათვის ძნელი გასაგებია ბევრი რამ, რაც დაწერილია ჟურნალში. აქ ლექსიკონიც ვერ გვეხმარება ყოველთვის. მაგრამ ასეთ შემთხვევას არ ექნება ადგილი კოლექტიური კითხვის დროს: რაც ერთმა არ იცის, იმას მეორე ან მესამე იტყვის და ასე ყველაფრის გაგება შეიძლება. განსაკუთრებით კარგია კოლექტიურად წაკითხვა სხვადასხვა სტატიების და პოლიტ-ამბების მასალების, ანდა, როდესაც, მაგალითად, ჟურნალის ფურცლებზე რაიმე საკითხის შესახებაა მსჯელობა.

ჟურნალში თავსდება სახელმძღვანელო ხასიათის მასალები, წერილები იმის შესახებ, თუ როგორ გამოვიყენოთ ზაფხული, როგორ მოვემზადოთ ბანაკისათვის, ვიმუშაოთ სკოლაში, სოფელში და სხ. ბავშვები როდესაც წაიკითხავენ ამ წერილს რგოლის ან კოლექტივის საბჭოზე, გაითვალისწინებენ, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ მათ ადგილობრივ.

როდესაც წავიკითხავთ ჟურნალს, გამოვარკვევთ, თუ რა არის მასში ძირითადი,—კარგი იქნება, რომ გამოვიკიდოთ ის კედელზე, გავხაზოთ წი-

თელი ან ქიმიური ფანქრით ყველაფერი ის, რაც მთავარი და საყურადღებოა.

საჭიროა აგრეთვე პლაკატების გამოკიდება, რაც ამა თუ იმ შემთხვევის გაგებას ხელს შეუწყობს. ამისათვის კარდონის დიდ ქალაქებში მსხვილი ასოებით უნდა დავხატოთ სათაური ამა თუ იმ შემთხვევის, მაგალითად: „რა ხდება ჩინეთში“, „როგორ ემზადებიან კაპიტალისტური ქვეყნები ჩვენს წინააღმდეგ საომრად“ და სხვა. მათ ქვევით და გვერდებზე უნდა დავწეროთ სხვადასხვა ლოზუნგები, რომელიც შეიფერება ხსენებულ რომელიმე შემთხვევას, ან ამბავს, პლაკატებზე საჭიროა მოვათავსოთ ამონაჭრები ჟურნალ-გაზეთის უკანასკნელი ნომრებიდან ამ ამბების შესახებ, რასაც შემდეგ, რეგულიარულად უნდა დავმატოს უკანასკნელი ცნობები.

აქვე შეიძლება მოთავსდეს ფოტოგრაფია რომელიმე ჟურნალიდან ან გაზეთიდან. შეიძლება აგრეთვე ცნობების ამოღება კომკავშირის ან მოზრდილების გაზეთიდან.

აქვე, პლაკატზე, უნდა იყოს ნაჩვენები, თუ რა და რა წიგნები უნდა იქნას წაკითხული ამ საკითხებზე—რომლებიც ხელმისაწვდომი და გასაგები იქნება ბავშვებისათვის.

პლაკატების გამოფენა შეიძლება პიონერ-მოდრობის, ცხოვრების და მუშაობის შესახებ, მაგ. ტარდება კამპანია საზაფხულო მოედნების მოწყობის შესახებ. აქ გამოფენილი უნდა იყოს პლაკატები მოედნის მნიშვნელობის შესახებ, იმის შესახებ, თუ როგორ მოვაწყოთ ის, სქემები მის შესახებ და სხვა.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

1. ემზადეთ საკავშირო გასინჯვისათვის	2	83.	8. ჩვენი ძმები მსოფლიოში—ინგლისელი პიონერები საბჭოთა კავშირში	16	93.
2. რედი და ჯო—ბ. ოლენიძის	3		9. აგრონომის საუბარი—ლ. შტანდარაძე	19	
3. პატარა მუშაკი—ს. ერთაწმინდელის	7		10. თვითგაკეთებული ნავეები და ტივები	20	
4. მოგზაურობა ტიბეტში—ზაბელოსი	10		11. ბრძოლის ველის დღეები	22	
5. სოფლიდან დაბრუნება—ლექსი—გ. სიომვილის .	13		12. თამაშობანი	24	
6. ემზადეთ საკავშირო გამოძახებისათვის—ს. ა. ლ.			13. საუბარი ჩვენი ჟურნალის მკითხველებთან—გარე-კანის მე-2 გვერდი		
კ. კ. ცეკას და ს. ბ. კ. ო. ც. ბ. წერილი	14				
7. საკო და ვანცეტი მოპკლეს	15				



329-153(05)
5-47-

მუშათა კლასის საქმისათვის იუვენალური




მ ი ლ ნ ე რ ი

1927

15 აგვისტო

განათლების სასკოლო ჯგუფისათვის სტეფანავაში აღზრდის მთავარმა-
თავადადამსახურებელმა მ. ვ. თ. ლენინის მიერ (საქ. კ. ლ.
კომპარტიის ცენტრში) შექმნილი ბავშვისათვის

წელიწადი II
№ 15



ავსტრიელი პიონერები ემზადებიან კომპარტიის და კომკავშირის მიერ მოწყობილ ომის
საწინააღმდეგო დემონსტრაციაზე გამოსასვლელად.

ემზადეთ საკავშირო გასინჯვისათვის.

უკანასკნელ ხანებში ძლიერ ბევრს ვლამბარაკობთ პიონერთა საკავშირო გასინჯვის შესახებ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნათქვამი ჯერ კიდევ არაა საკმარისი. საჭიროა კიდევ, კიდევ და კიდევ ვილაპარაკოთ გასინჯვის, დათვალიერების შესახებ, საჭიროა ყოველმხრივ განვიხილოთ ეს მეტად საყურადღებო საკითხი. ისე უნდა მოვახერხოთ, რომ გასინჯვა-დათვალიერების შესახებ ყველა პიონერმა იცოდეს და ესმოდეს, თუ რა მიზნებს ისახავს ის.

უპირველეს ყოვლისა, ეს გასინჯვა არის პიონერ-კოლექტივთა საკავშირო დათვალიერება და მისი უმთავრესი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენმა მრავალრიცხოვანმა პიონერულმა არმიებმა გააცნონ ერთმანეთს თავიანთი მუშაობის გამოცდილებანი.

ჩვენ ვიცით, რომ მრავალ კოლექტივში არის მეტად მნიშვნელოვანი მიხვედები, მაგრამ მას სხვა კოლექტივები არ იცნობენ, ამიტომ ჩვენ ყოველი ღონისძიება უნდა მივიღოთ, რომ ყველაფერი ის, რაც ჩვენ კარგი და საყურადღებო გვაქვს ცალცალკე კოლექტივებში, სხვა კოლექტივებშიაც გადავიტანოთ; აი, რატომ უნდა შევუწყოთ ყოველნაირად ხელი ისეთ საყურადღებო საქმეს, როგორცაა პიონერთა საკავშირო გასინჯვა. ის დავებმარება ჩვენ მნიშვნელოვანად გამოავსოცხლოთ და გაავუქობესოთ ჩვენი პიონერ-ორგანიზაციის ცხოვრება და მუშაობა.

იმ კოლექტივებმა, რომლებსაც აქამდე არ ჩაუტარებიათ მოსამზადებელი მუშაობა, ახლავე უნდა მოჰკიდონ მას ხელი. უპირველეს ყოვლისა წაკითხული უნდა იქნას კოლექტივების საერთო კრებებზე ს. ა. ლ. კ. კ. ცენტრალური კომიტეტის და ს. ბ. კ. ო. ცენტრალური ბიუროს მოპართვა, რომელიც თავის დროზე დაეგზავნა აღგილებს და რომელიც აგრეთვე მოთავსებულია ჩვენი ჟურნალის ამ ნომერში; ამავე კრებებზე უნდა დაევალოს რგოლებს მოსამზადებელი მუშაობის ჩატარება. რგოლების კრებებზე საკმაო სამუშაო იქნება; საჭირო იქნება იქ კოლექტიურად აღნიშნონ და იმსჯელონ, თუ რა არის კარგი, საინტერესო კოლექტივის მუშაობაში. შეიძლება ზაფხულის განმავლობაში კარგად დაუკავშირდით სოფელს? ან შეიძლება ბავშვებმა მოაწყვეთ


მსროლელთა წრე? ანდა იმ მოედანზე, სადაც პიონერ-კოლექტივი მუშაობს, თავს იყრიან აგრეთვე შეუკავშირებელი ბავშვებიც, რომლებიც იქ უსაქმოდ კი არ არიან, არამედ პიონერებთან ერთად თანასწორად თამაშობენ და ატარებენ დროს? და ასე შემდგომ. საერთოდ კი რგოლებმა უნდა გაითვალისწინონ, თუ მათ კარგი მიხვედები და წარმატებები რად აქვთ.

როდესაც მასალებს აპოარჩევთ, იმსჯელებთ მის შესახებ საერთო კრებაზე, შემდეგ უნდა მოამზადოთ ის გასაგზავნად. მასალის დაწერის დროს მხედველობიდან არ უნდა გამოგვეპაროს თვით უმნიშვნელო წვრილმანებიც კი, ისინიც უნდა იქნას აღნიშნული. არ კმარა მართა, რომ ვთქვათ, მაგალითად: „ჩვენ ძლიერ კარგი კავშირი გვაქვს წითელ არმ. ასთან!“ — „კარგი?“ — იკითხავენ სხვები — „მაგრამ რაში მდგომარეობს ის?“ ამიტომ საჭიროა თავი მოვუყაროთ ფაქტებს, ვრცლად დავწეროთ ისინი, დავუთოდოთ მათ დღიურები, დიაგრამები, ცნობები და სხვა. შემდეგ კი კვლავ წაკითხული უნდა იქნას დაწერილი: მართლად და ყველაფერი არის თუ არა მასში აღნიშნული. ეს იმიტომ, რომ არ უნდა დავავიწყდეს, რომ დათვალიერების უმთავრესი ამოცანაა — თვითეული პატარა გამოცდილება, თვითეული უმნიშვნელო მიხვედები მისაწვდომი გახდეს მთელი კავშირის პიონერ-ორგანიზაციისათვის.

კედლის გაზეთში, წინამძღოლის საუბრების საშვალეობით, განსაკუთრებული დათვალიერების კუთხვების საშვალეობით საჭიროა გავაძლიეროთ მოსამზადებელი მუშაობა, ვაძულოთ ყველა პიონერი მონაწილეობა მიიღონ ამ საქმეში.

ის კოლექტივები, რომლებიც კარგი, სანიმუშო და საყურადღებო მიხვედების ფაქტებს წარმოადგენენ, — მიიღებენ ჯილდოს.

მაშ, ამხანაგებო, იმსჯელეთ ყოველნაირად პიონერთა საკავშირო გასინჯვის შესახებ, მიიღეთ ყველამ მასში უახლოესი და გაცხოველებული მონაწილეობა. გამოამუშავენთ ყველაფერი, რაც მიხვედები გაქვთ! მტკიცედ და მეგობრულად, პიონერულად დაიწყეთ მუშაობა. დათვალიერების საყვირს ხვა უკვე გაისმის!



რედი და ჯო უკვე სამი თვეა რაც ჩიკაგოში*)
 არიან...

ისინი სადგურის მახლობლად ცხოვრობენ:

— სადაც ანათებენ ძლიერ ნათელი, ცეცხლის
 სხავების ათასძალიანი ელექტროს ლამპები...

— სადაც სიშავის ტალღებშია განვეული მთე-
 ლი უბანი...

— სადაც თავის ბუნაგებში გააფთრებული ღრი-
 ალებენ და მოძრაობენ ძლიერი ძალის ლოკომო-
 ტივები.

ყოველივე ამის მახლობლად არის რკინისგზის
 უზარმაზარი ხიდი. მის ქვეშ არის წყლის მიერ მო-
 ტანილი ქვიშით ამალღებული ადგილი—მათი სა-
 ცხოვრებელი „ბინა“

სამი თვეა, რაც ამ „ბინაში“ ერთი ცენტრც
 არ გადაუხდიათ. ის მათთვის უფასოა.

მართალია, მათ უფასო აქვთ „ბინა“, მაგრამ
 ესევე არ შეიძლება ითქვას მათი კვების შესახებ...

აი, ეხლაც მეტისმეტად უნდათ მათ ჭამა. და-
 სუსტებული კუჭი კატეგორიულად ითხოვს თუ გინდ
 ყველაზე უფრო იაფი პურის ნაჭერსაც... მაგრამ
 ის არსად არის. საჭმელის გემო მათ უკვე ორი დღეა
 რაც აღარ უნახავთ.

ჯო 12 წლისაა. ის რედიზე უფრო სუსტი
 აგებულებისაა.

ახლა მისი ცისფერი, ცრემლებისაგან გაბრწყინ-
 ნებული თვალები შეწუხებულია და მუდართაა მი-
 პყრობილი რედისაკენ.

— ოხ, ნეტავ ერთი ნამცეცი პური მაინც
 გვექონდეს, რედი!

რედი წამოღდა. მისი კბილები მაგრად მიეკრა
 ერთმანეთს, შუბლზე მრავალმა ხაზმა მოიყარა თავი.
 რედიმ რალაცა გადასწყვიტა.

— ჯო, პური გვექნება. შენ აქ მომიცადე. მე
 რაიმეს მოვიგონებ, რომ პური ვიშოვნო.

რედი სწრაფად ამოხტა თავისი ბინიდან და
 ფრთხილად მიიპარება ხილზე.

ახლა მის თავში მხოლოდ ერთადერთი აზრი
 ტრიალებს: რა უნდა ჰქნას? სადაა გამოსავალი? რო-
 გორ იცხოვრონ?

უკვე ერთ წელიწადზე მეტია, რაც რედი და
 ჯო წამოვიდნ თავისი სოფლიდან და ოჯახიდან.
 იქ ჯოს არავინ აღარ ჰყავდა დედის სიკვდილის
 შემდეგ, ხოლო რედის კი დარჩა მოხუცი დედა და
 ოთხი წლის და.

თავისი სამშობლო სოფლიდან ისინი იმ გან-
 ზრახვით წამოვიდნ, რომ ეშოვნათ სამუშაო, საარ-
 სებო საშუალება. იმათ მოიარეს ნიუ-იორკი, სან-
 ფრანცისკო, მრავალი წვრილი ქალაქი და, აი,
 ახლა, დაბოლოს, ისინი ჩიკაგოში არიან.

სან-ფრანცისკოში ისინი სასაკლაოზე მუშა-
 ობდნ. ყოველდღე 10-12 საათი უხდებოდათ მე-
 შაობა სისხლსა და სხვა უსუფუთაობათა შორის.
 ჯილდოდ იღებდნ დღეში მეოთხედ დოლარს და
 ხშირ ცემა-ტყეპას.

ასეთ პირობებში ცხოვრება შეუძლებელი იყო.
 სიმშლიისაგან დასუსტებულნი, ფერმკრთალები,
 ისინი არსად არ სურდათ მიეღოთ სამუშაოდ. ასეთი
 მუშა არაფერი არ ღირდა.

და, აი, ახლა ისინი უბატრონოთა და უთავშე-
 რაფროთა ცხოვრებას ეწევიან. მათი სახლის ქერია
 მალალი მტრედისფერი ცა ან შავი მრისხანე ღრუბ-
 ლები. სადილი— მოძებნილი ნარჩენები. ვახშიმი—
 მაგრად შემორტყმული სარტყელი. ქურდობა, შე-
 სვლა „შავი რალფის“, 16 წლის ბელადის, რამი-
 დენიმე ათეული ქურდი ბავშვის უფროსის, ჯგუფ-
 ში რედის არ შეეძლო.

ფიცი, რომელიც მან თავის თავს მისცა, არ შე-
 იძლება დარღვეულ იქნას...

უმჯობესია მოკვდეს სიმშლით, ვიდრე იქურ-
 დოს...

მას აზრი გაუწყდა, როგორც ძაფი.
 რედის წინ რკინის გზაზე იდგა ვილაც აღა-
 მანი.

— მოიცა, მეგობარო, ერთი წამს! — მოისმა
 ალერსიანი და მშვიდი ხმა.

რედიმ თავი ასწია მაღლა. მის წინ ვილაც მა-
 ლალი კაცი იდგა.

*) ჩიკაგო — ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების
 ერთ-ერთი ყველაზე უფრო დიდი სამრეწველო და სავაჭრო ქალაქია.

— შენ მეტად გამხდარი ხარ, შენ ჩონჩხს გავ- ხარ. ალბათ, გზია?

რედი ისე დაიბნა მოულოდნელობისა- გან, რომ არც კი იცოდა რა ეპასუხა.

— მე ვიცი თქვენი გაძლომის კარგი სა- შვალემა. დამიჯერეთ.

— ალბათ, მისტერ ხუმრობს? — წარმო- სთქვა ბოლოს რედიმ.

— სრულიადაც არა. ორი სიტყვა, ყმაწვი- ლო. წამოდი ჩემთან, მე გაქმევ, ხოლო შე- მდეგ კი საქმის შესა- ხებ მოვილაპარაკოთ.

გაკვირვებული და გახარებული უტკე- რდა რედი უცნობს.

— მისტერ, მე ძლი- ერ მოხარული ვარ, მე ძლიერ მადლობე- ლი ვარ... მაგრამ... მე მყავს პატარა ამ- ხანაგი...

— ძლიერ კარგი, ისიც თან წამოიყვანე.

სამი ფიგურა მიემართება ერთ-ერთი მიყრუე- ბული ქუჩისაკენ. ყველაზე წინ მიდის მაღალი კაცი. მას უკან მიჰყვება რედი, ხოლო ჯო ყველაზე უკანაა. ის ხშირად რჩება უკან, მაგრამ გარბის. მათ პური ექნებათ!

მკვეთრად და მხამალა გაჰკიოდა ლოკომოტი- ვი. მისი ხმაურობა მრისხანე იყო.


საკვირველი ფლორიდისაკენ

მისტერ ხლის (ასე ეძახდნენ იმ უცნობს, რო- მელმაც რედი და ჯო წაიყვანა) სახლი ჩიგაკოს შო- რეულ და მივარდნილ კუთხეში მდებარეობდა. ეს იყო მეტისმეტად ძველი და ნახევრად ჩამონგრეუ- ლი ორსართულიანი სახლი.

რედი და ჯო კმაყოფილი არიან ამ შემთხვევით.

ვაი, აი მოულოდნელობა! სასადილოში, სადაც ისინი შეიყვანა მისტერ ხლიმ, იჯდა რამოდენიმე ბავ- ში. ყველანი ჩამოფლეთილნი, მისუსტებულნი იყვნენ. ისინი გაათვრებული ილუკემბოდენ პურს. ოხ, რა

განცხრომაა! წვენი, მოხარული ხობი- ლობი, შემდეგ ტკბილეულობა და სხვა.



რედი ფრთხილად მიიპარება ხიდზე.

რედი და ჯოც რა- მოდენიმე დღის უტკე- ლობის შემდეგ გაუ- მაძლრად დაეწაფენ ყველაფერს.

ოხ, რა კარგია ყვე- ლაფერი ეს!

გამაძლარი ბავშვები ხმაურობენ, მხიარუ- ლობენ.

შემოდის ხლი.

— მეგობრებო, გავი- დეთ საწოლ ოთახ- ში და იქ მოვილაპა- რაკოთ საქმის შესა- ხებ.

ყველანი აღიან კი- ბეზე. შედიან ხლის საწოლ ოთახში.

— მეგობრებო! თქვენ მშიერნი, ტი- ტველნი ხართ...

მე თქვენ მებრა- ლებით. ჩემი თვა- ლები სტირიან, რო-

დესაც თქვენ გხედავენ, — მინდა დაგეხმაროთ, აი რის ვარშემო ტრიალებს ჩემი გონება ახლა. და, აი, მომისმინეთ, თუ რა მოვიფიქრე: არის საკვირ- ველებათა მხარე—მას უწოდებენ ფლორიდას. საუ- ცხოვო ტროპიკული მცენარეულობაა იქ, მშვენიერ სიმწვანეთა მხარეა ის. იქაური პეპლები უფრო დი- დებია, ვიდრე ჩვენებური ჩიტები; ისინი დაფრინა- ვენ ყვავილიდან ყვავილზე. მტრედისფერ გამჭვირ- ვალე ტბებზე დაცურავენ თვალწარმტაცი ორხი- დეები. დღეში ორ-ორი საათი უნდა შესწიროთ მათ შეგროვებას, თქვენ იქ იცხოვრებთ ჩემ მეგობართან, მშვენიერ სახლში, ჩავაცმევენ თეთრ ტანსაცმელს, საუცხოვო საქმელს მოგართმევენ. რატომ არ უნდა წახვიდეთ და არ იცხოვროთ იქ? და ყოველივე ამი- სათვის საჭიროა მხოლოდ 2 საათს იმუშაოთ და შეეგროვოთ ორხიდეები.

12 ბავშს თავის გონებაში ეხატება საკვირვე- ლი მხარის—ფლორიდის—სურათები. 12 ბავშვ ჩურ- ჩულებს:—„ჩვენ უნდა წავიდეთ ამ ზღაპრულ ფლო- რიდაში!...“

მისტერ ხლის სახე გაუნათდა.



— მეგობრებო, იქ თქვენ ხვალ გაემგზავრებით, მე უკვე მოველაპარაკე ჩემს მეგობარს. თქვენ უსათუოდ კმაყოფილი იქნებით. მხოლოდ... მხოლოდ... საჭიროა ამ ქალაქზე ხელის მოწერა... აქ ჩვენი შეთანხმების შესახებ სწერია... ეს მხოლოდ ისე... ფორმალურად... არსებითად კი ეს არაფერია...

მისტერ ხლიმ გაუწოდა ბავშვებს ქალაქი და კალმისტარი, ბავშვებმა გადახედეს ქალაქს და ყველამ მოაწერა ხელი ქალაქზე: — ჯემს, პროფბერი-ჯსი, ვერონელი, რედი განრეი, ჯო ინველი.

რედიმ უღარდელად მიმოავლო თვალები ირგვლივ. ხელშეკრულება სამი წლის ვადითაა. დიდად სასიამოვნოა. სამწუხაროა, რომ ხელშეკრულება არის სამით და არა ხუთი წლით.

ბავშვები წვებიან ლოკინებში. მისტერ ხლი და მისი თანაშემწე თვითონ ახურავენ მათ საბანს. მისტერ ხლი წყნარად ჩურჩულებს: „მაშ ასე: ხვალ გზას გაუდგებით“ და ეშმაკურად იღიმება.

ო, მისტერ ხლი კეთილი ძიაა, კიდევ მეტიც: ის ღვიძლი მამაა!

ორხიდეები.

ო, საკვირველებათა მხარე!

მისი მოგონების დროს რედის სახეზე არაჩვეულებრივი სიმხიარულის ღიმი დადის, თვალები უდიდდება და უბრწყინავს; ხელები თავისუფლად იშლება.

მათი მგზავრობა მატარებლით რამოდენიმე დღეს გაგრძელდა. მესამე დღეს მატარებელი უკვე ფლორიდის საზღვრებს უახლოვდებოდა.

ხლის მეგობარი უზარმაზარი ირლანდიელი აღმოჩნდა. ის მხიარულად შეხვდა „ბედნიერებისათვის“ მოსულ ბავშვებს...

მიკის საცხოვრებელ ბინას ყოველი მხრიდან ჭაობი ეკრა.

მძიმე ორთქლი ღრუბლებად ადიოდა ჭაობიდან.

უთვალავი მხამიანი მწერი და კოლო დაფრინავდა მათ ბინაში და ირგვლივ.


თვითფული მცენარე სიკვდილს უქაძდა ადამიანს.

რედის კარგად ახსოვს, თუ როგორ გასწია ხელი კელიმ (ერთ-ერთმა ჩამოსულმა ბავშვმა) სისხლისფერი ყვავილისაყენ და სწრაფად გამოსწია ის უკან, მაგრამ მას ხელზე ჩამოკიდებული პატარა გველიც გამოჰყვა თან.

გველი გასრიალდა მიწაზე...

კელი ტირილით მივარდა მიკისთან... გაუწოდა მას გასივებული ხელი, ემუდარებოდა დახმარებას.

მიკი მეტად გულგრილად შეხვდა კელის ხელს:



ბავშვებმა სათითაოდ მოაწერეს ხელი ქალაქს.

— მერე რა ვუყოთ? როგორ უნდა დაგეხმარო? შემდეგ ის მიუბრუნდა ზურგით კელის და დაუყვირა ჯემს:


— რას გაჩერებულხარ, განაგრძე შენი საქმე, დასვენების დრო სრულიად არ არის ახლა...

საშინელი გრეხით და ტანჯვით მოკვდა კელი. როდესაც მას მიწაში ფლავდენ, მთელი მისი სახე და სხეული ისე იყო გასივებული, გაშავებული, როგორც მიწას. საშინელი შესახედავი იყო...

სამი თვის განმავლობაში მოსული ბავშვებისაგან ექვსი გარდაიცვალა ჭაობის ციებისაგან, „საკვირველი“ მხარე უბედურ ბავშვებს ახალ-ახალ „ზღაპრებს“ და „ბედნიერებას“ უმზადებდა.

როდესაც ჩამოვიდა ახალი პარტია უპატრონო ბავშვებისა, რომელიც კიდევ შეეგროვებია მისტერ ხლის, — რედიმ მოაწყო მიტინგის მსგავსი რაღაც და უამბო ახალჩამოსულებს, თუ როგორ მოატყუეს ისინი და ხელი მოაწერინეს სასიკვდილო ხელშეკრულებაზე.

— ჩვენ აქ ვმუშაობთ არა ორ საათს, როგორც ეს გვითხრა ჩიკაგოში მისტერ ხლიმ, არამედ რვა-ათ საათს, წელამდე ვდგავართ ბინძურ ჭაობში, წყალში, სადაც გვესევა აუარებელი მხამიანი მწერი, ვაგროვებთ ამ ორხიდეებს, რომლებიც შემდეგ იგზავნება დიდ ქალაქებში და იქ ალიამაზებს მდიდარი მისების ღამის მაგიდებს. ამისათვის ჩვენ არავითარ გასამრჯელოს არ გვაძლევენ, ხოლო კვებაც ხომ ძალიან ცუდი გვაქვს. ამას თქვენც დაინახავთ.



ამ საუბარს სრულიად შემთხვევით ყური მოჰკრა მიკმა. ის ძლიერ განრისხდა. რედის ის მათრახის ცეპით გაუმასპინძლდა, ხოლო დანარჩენები ძლიერ შორს გააგზავნა სამუშაოდ, სადაც, როგორც ამბობდნენ, განსაკუთრებით კარგი დიდი ორხიდეები. გალახული, დასუსტებული რედი ერთ კვირას ეგდო ბარაკში.

რედი და ჯო კვლავ განაგრძობდნენ მართლაც რომ საკვირველი ყვავილების შეგროვებას. ისინი ერთმანეთს ერთი ფეხის ნაბიჯითაც კი არ შორდებოდნენ...

ჯომ შენიშნა საუცხოვო ორხიდეის ბუჩქი.

— ოხ, ნეტავ მოვწყვეტდე იმას! — წამოიძახა ჯომ მაგრამ იქ უფრო ღრვა უნდა იყოს ქაობი და დამღვარი ბნელი ტბა. ქაობის შუა ადგილს ძლივს მოსჩანს მწვანე მოყვითალო ფერის ჯირკი. ჯო გადახტა მასზე დასამაგრებლად, მაგრამ დახეუ უბედურებას, ის ჯირკი არ აღმოჩნდა. აქამდე უძრავად მყოფი სხეული შეინძრა. ჯომ ვერ შეიმავრა თავი და მისი ზურგიდან ტბაში გადავარდა.

აა, ეს ჯირკი კი არა, ნიანგი ყოფილა...

ის მსწრაფლ დაწვდა ჯოს და თავისი უზარმაზარი ყბისაკენ გააქანა.

გაისმის ჯოს გულშემშარავი ყვირილი.. ის დახმარებას ითხოვს...

რედი პირველად ვერ გაერკვევა... შემდეგ ნათლად ხედავს ყველაფერს... მაგრამ რა ჰქნას... როგორ უშველოს თავის მეგობარს... მსწრაფლ მოიფიქრებს: ამოიღებს დანას და გაექანება საშინელი ცხოველისაკენ... ცხოველი ძლიერი კუდის მოქნევით მას შორის გადაანარცხებს... ის დიდ ტკივილებს გრძნობს... მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის ბარბაცით ეშურება ხეღეთისაკენ. მოშორებით ის შენიშნავს მიკის, გაეშურება მისკენ და სთხოვს დახმარებას.

მიკა გამოეშურება ჯოსაკენ.

გაისმის თოფის ხმა.

ნიანგი ერთს ძლიერ მალლა წამოიწახან თავს, დააღებს პარს, საიდანაც გადმოცვივდება საბრალო ჯოს სხეულის გადაუყლაპავი ნაწილები, შემდეგ კვლავ დაბლა დაეშვება და ისე განუტეებს სულს...

ჯო უკვე აღარ იყო...

რედი კი მარცხენა გვერდის და ზურგის საშინელ ტკივილებს გრძნობს. ის ძლიერ დასუსტებულია.

მკიმი ბავჯი

ტკივილებისაგან რედ ფლორიდაში სამოგზაუროდ მყოფმა ექიმმა გეჯიმ მოარჩინა... მან განიზრახა მისი წაყვანა. მიკსაც დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევია, რომ ექიმს წაეყვანა „მომაკვდავი ლექვი“.

რედიმ თავი ამოჰყო ნიუ-იორკში.

* * *

ნიუ-იორკის ერთ-ერთ უბანში თავი მოეყარა რამოდენიმე ათეულ ბავშვს. მათ შუა იდგა 15 წლის ბავშვი. მის ჭრელ თვალებში ცეცხლის ნაპერწკლის შუქი გამოკრთოდა. შუბლზე ფართე და ღრმა ღარები ჰქონდა გავლებული. ის ლაპარაკობს:

— საბჭოთა კავშირის პიონერებმა უნდა იცოდნენ, თუ რა უბედურებაში უხდებოთ ცხოვრება ამერიკის უპატრონო ბავშვებს, თუ როგორ აწამებს და ჰყვლეფს მათ მიტერ ხლის მსგავსი გაიძვერა ხალხი.


— მართალია, მივწერთ მათ წერილი ჩვენი პატარა მონადირეების შესახებ, რომლებსაც იტყუებენ ფლორიდაში ორხიდეებზე სანადიროდ.

— ყველანი თანახმა ვართ, ყველანი, — გაისმა ირგვლივ.

— და ჯოს დაღუპვის შესახებაც, — ნელი ხმით და მოწყენილად დაუმატა გამხდარმა რედმა...

ესენი იყვნენ ნიუ-იორკის ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციის წევრები.

ბ. ოლენიძე.



ნიანგი მსწრაფლ დასწვდა ჯოს და თავისი უზარმაზარი ყბისაკენ გააქანა.



პ ა ტ ა რ ა მ უ შ ა ა ი

(სურათები)

ა.

— ნეტაი შენა, მაშო, რომ ეგეთი კარგი ბიჭი გყავს!

— ნამდვილი ახალ დროის შვილია!

ეუბნებოდენ მეზობლები შალვას დედას და მანაც სიამით უბასუხა:

— ენაცვალოს დედაი, კომუნის ყვავილია!..

მზე უკანასკნელად ეთხოვებოდა სოფელს და ტყიან ქედს ეფარებოდა; ნელ სიოს მინდვრად მოჰქონდა ყვავილთა სურნელოვნება: ღორ-ხბო ბღვილით შემოესია სოფელს; ნახირი ალაზანს მადგა წყლის სმად...

ორლობის თავში კი, წყაროს პირას, რომელსაც მრავალ ათეულ წლიანი კაკლის ხე ქოლგად გადაშლოდა, ისხდენ სოფლის დედაკაცები კოკებით, და მუსაიფობდენ სხვადასხვა ამბებზე, მაგრამ ამ ბოლო დროს ხომ ყველას ენაზე ადგა მაშოს შალვა, ყველას უყვარდა, ყველა შენატროდა...

— ერთი! ორი! ერთი! ორი!..— მოესმათ შალვას ძახილი, რომელიც სოფლის ტოლ-მეგობრებს მოუძღვებოდა ხოლმე: ნადაც ყანის ძნების ბუღუღებულად დადგმაში შველოდა მარტოდ დარჩენილ დიდედოს, რომლის ერთადერთი შვილიც წითელ ჯარში იყო წაყვანილი და შალვას, როგორც პიონერს, შეგნებული ჰქონდა ასეთი ხალხის შველა. მან ქალაქში, შრომის სკოლაში სწავლისას და კოლექტივებში არა ერთხელ გაიგო დარიგება წინამძღოლისა:

— პიონერი უნდა იყოს პატიოსანი, გულკეთილი, მოძმეთა მომხმარე, შეგნებული, გაბედული და მომავლის საიმედო პიროვნება, რადგანაც პიონერი, რა გაიზრდება, ახკომკავშირელი გახდება, ახკომკავშირიდან კომპარტიის წევრი, და კომუნისტი ხომ ყველაფრით დაჯილდოვებული უნდა იყოს, ის ხომ მომავალი მსოფლიო კომუნის დარაჯია, მან ხომ უნდა შექმნას ახალი, შრომის მეფეება. პიონერი აქედანვე უნდა აღიზარდოს ასეთად, ასეთი იყო ნება ოქტომბრის რევოლუციის მამის და ბავშვა მოყვარის, ამხანაგი ლენინის...

წინამძღოლის ეს სიტყვები ახლაც ყურში უწიოდა მას და პირნათლადაც ასრულებდა ამას...

რაც ამ ზაფხულზე დაბრუნდა თავის სოფელში, რა არდადეგები გამოცხადდა, მას ერთ წუთსაც არ მოუსვენია; ის ხან ბიძაშვილს გაჰყვებოდა ღორ-ხბოში და ეცნობოდა მწყემსების ცხოვრებას, ხან მამას შველოდა ვენახში, ხან სოფლის ტოლ-ამხანაგებს შეკრებდა და უკითხავდა წიგნებს; აცნობდა პიონერთა აღზრდას, მოვალეობას, ერთი სიტყვით, რაც კი შეეძინა ქალაქში კოლექტივში, ყველას უზიარებდა; რა თოხნა და მკა დაიწყო, მაშინ თავისი ამხანაგებით შველოდა გლეხებს; თუმცა სასაცილოდ არა ჰყოფნიდა ზოგიერთებს მათი შველა:

— რა უნდა გამიკეთონ ამ ბაღებმა, მაგრამ დეე, ითამაშონ, გაერთონ...— იტყოდა ზოგიერთი, მაგრამ რა მათ ცოტას, მაგრამ ნაყოფიერ ნამუშევარს შეხედავდენ, იმათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, აქებდენ, აგულიანებდენ, შალიკოს მშობლებს ქებას ასხამდენ...

— რას ამბობ, მიხა, ჩემი ვანო ისეთი ცელქი იყო, რომ თუ იმისაგან რამე გამოვიდოდა, როგორ ვიფიქრებდი, მაგრამ რა მაშოს ბიჭი შალიკო ჩამოვიდა ქალაქიდან და ჩაუდგა ამ ბავშვებს, მოჰკვიანდა და აიტეხა, თუ პიონერად არ გამგზავნენ არ მოგასვენებთო...— ღიმილით გადაულაპარაკა მენახირე გაბომ მეზობელს, რა შალიკოს მეთაურობით მომავალი ბავშვების სიმღერას მოჰკრა ყური...

ბ.

შალიკო იქნებოდა ასე ცამეტი წლის; ის სოფლის ღარიბი გლეხის შვილი იყო და ამ სამი წლის წინათ ჩამოიყვანა დედამ, თავისთან ზრდიდა, მერე შრომის სკოლაში მიიბარა, იქიდან პიონერთა კოლექტივში და ერთ პირველთაგანად ითვლებოდა, მიუხედავად იმისა, რომ პარველ ხანებში საშინელი მოუსვენარი იყო, ცელქი, მოჩხუბარი. ხშირად ამხანაგებთან ჩხუბში თავგატეხილი ბრუნდებოდა შინ, უყვარდა აგრეთვე მუშა იეზიდების გამოჯავრება, ქვების სროლა, რაც ყველაზე ძალიან სძულდა დე-

იდას, მისი მუღამ სატიოზე სირბილი, მტკვარში ბანობა...

— რა არის, შალიკო, როდემდის უნდა იყო ეგეთი ანკი? დაიხრჩობი, ბიჭო, და რაღა ვუთხრა დედაშენს?— არა ერთხელ ეტყუადა ხოლმე დეიდა, რა სახელოსნოდან დაბრუნდებოდა და შინ რომ ვერ ნახავდა შალვას, მაშინვე ვერის ხიდისკენ მიამუ-



ბევრჯერ აიტივტივეს ტალღებმა შალვა და კინაღამ დაიხრჩო, სხვებს რომ არ გადაერჩინათ.

რებდა, რადგან იცოდა, რომ შალიკო თუ კოლექტივში არ იყო, უექველად მდინარეში ქყუმპალაობდა...

— ნუ გეშინია, დეიდა ქეთო, ფრთხილად ვიქნები, არ დავიხრჩობი; ცურვა უნდა ვისწავლო; პიონერმა ყველაფერი უნდა იცოდეს, გამომადგება როდისმე...— მიუგებდა ღიმილით...

ბევრჯერ აიტივტივეს ტალღებმა და კინაღამ დაიხრჩო, მობანავეებს რომ არ გადაერჩინათ, მაგრამ მას შიში ვერ აღუძრეს, ის არ ებუებოდა არავითარ საშიშროებას.

ბოლოს, ზოგი წინამძღოლის და მასწავლებლის დარიგებით, ზოგიც დეიდის და ამხანაგების რჩევით ის თანდათან დაქვეიანდა, სწავლასაც ერთგულად მოჰკიდა ხელი. ამ ზაფხულს დეიდამ შეგებულება აიღო, წავიდა დასთან სოფელში და შალიკოც თან ამოიყვანა, სადაც ეხლა ის ყველას სალაპარაკო და სამაგალითო საგანი იყო...

8.

— აბა, ამხანაგებო, ახლა დაიშალენით, ხვალ კვირა დღეა და სოფლის კლუბში შევეყაროთ, მე რომ გითხარით, საბავშვო პიესა დავინაწილოთ, როლები ვისწავლოთ და მეორე კვირას წარმოვდგენა დავდგათ ბიბლიოთეკის სასარგებლოდ!... უთხრა მან ბავშვებს, რა ყანიდან დაბრუნების შემდეგ დანგრეული გალავნის ახლოს შესდგენ...
 მთელი კვირა პიესის მომზადებაში გაატარეს, შალვამ რაც იცოდა, რაც კოლექტივში ენახა, ყველას

გაუზიარა. აქ სკოლის მასწავლებელი ქათოც დავიხრჩო და მისი შემწეობით მეორე კვირას ბავშვების მოხდენილმა თამაშმა, ვარჯიშმა და სიმღერამ სოფლის ყურადღება მიიზიდა.

— ეს ბავში ოქტომბრის ბაღში აღზრდილი კომუნის ყვავილია და ჩვენი სოფლის სიამაყე, მაკისაგან უნდა აიღონ მაგალითი აქაურმა ბავშვებმა. ეუბნებოდა ყრილობაზე ხალხს აღმასკომის თავმჯდომარე, რომელიც განცვიფრებული იყო შალიკოს გნერგიული მუშაობით...

— სმენაა! ამხანაგებო, დღეს ამ ჩვენ ამხანაგ გოგიას დედას სიშინლი აქვს სათოხნი და მოსარწყავი, აბა, წინ იარ!.. — უბრძანა წარმოდგენის მეორე დღეს, ორშაბათს, დანიშნულ ადგილზე შეკრებილ ბავშვებს და გაუდგენ გზას ერთ-ერთი აქავე მყოფი ამხანაგის ნაფურისკენ...

ხალხი გაკვირვებას იყო ამ სურათით, როდესაც ბარებით და თოხებით მხარზე შრომის პატარა გირებს უყურებდა...

— ჰაი დედასა, წინა დროში სადა ნახავდა მამას როგორც ჩვენ ვიყავით დაჩაგრულები ძველი მთავრობისაგან, ისე ჩვენი შეილები, რომლებიც ღორბოში დაგვიდიოდა, გუთნებზე გვეჯდა და ურმის კოფოზე, ეხლა კი, შვილო, ჩვენი მუშურ-გლეხობა ხელისუფლება ზრდის, სწავლა უფასოა, აღზრდა თავისუფალი, ცხოვრებას ახალი თაობა ეზრდება, ქვეყანა ჰყვავდება... — წარმოსთქვა მოხუცმა ანდრეამ და ჩიბუხი გადმოაბერტყა ხელისგულზე...

დ.

ზაფხული დასასრულს უახლოვდებოდა...

კვირა დღე იყო, და შალიკოს დეიდა ამოვიდა სოფელში; მან, როგორც დღეგატმა, სოფლის ქალებში საუბარი მოაწყო ქალთა მოძრაობის შესახებ. ვენახში ჩავიდა, რომელიც დღლის პირად იყო, სადაც მისი და, სიძე და შალიკო პატარა დაიკო თინათი უკვე დილიდანვე იყვნენ წასულნი.

საშუაღდეო სიტყვე ჩამოწვა...

მაშო დასთან ერთად ატამს კრეფდა, შალიკოს მამას რუ გადაეშვა კვლებში, ვაზებ შუა და ქოხში წამოწოლილიყო, შალიკო ვაშლის ხეს მოქცეოდა კენწეროზე და ლოყაწითელ თურაშაულს მადიანად კბეჩდა, თინა კი დღეში, ღობესთან, მაყვალს ჰკრეფდა...

ამ დროს ჰაერიდან მოისმა ყრუ გუგუნნი, არა ქუხილის მსგავსი...

— რა უნდა იყოს? თეთრი არწივი თუ რა არის, რომ მოფრინავს? — გაიკვირვა ლექსომ, რა ხმაურობაზე ზემოთ აიხედა და ღრუბლებს გაკრული აერო-



ეროვნული
კავშირთა

პლანი შენიშნა, რომელიც ჰყრიდა სხვადასხვა ფერის ქაღალდებს...

— ეგა, ნათლი, თეთრი კი არა, წითელი არ-
წივია, აეროპლანი; მაგრამ აქეთ რამ გადმოაფრინა? —
დაფიქრდა შალვა, მაგრამ რა ცოტა დაგვიანებით
მათ წინ დაეცა ქაღალდი, ამოიკითხა, რომ დღეს
ავიაქიმის დღე იყო, რაიც მოკლედ აღსხნა ყველას.

— დღესა ქალაქში ავიაქიმის დღე ყოფილა და
აეროპლანი ამ ამბავს სოფლებსაც ატყობინებს...

— ე ავიაქიმი რაღაა, ნეტა?

— რა და ის, რომ ახლანდელი, მომავალი ომე-
ბი, რომლებსაც ბურჟუაზიულა სახელმწიფოები იწ-
ყებენ ერთმანეთისა და უმთავრესად ჩვენი საბჭოთა
კავშირის წინააღმდეგ, ძველებურად კი არ იქნება,
არამედ ჰაერიდან, აეროპლანებიდან ჩამოყრიან ყუმბა-
რებს, ქიმიური ნივთიერებით მოწამლულ ყუმბა-
რებს მხრჩოლავი აირით, გაზით და ეცდებიან ფრონ-
ტის შიგნით არეუ-დარევის გამოწვევას, ხიდების,
საწყობების, რკინის გზების, ქარხნების დანგრევას,
რომ ძროხლის ველზე მყოფი ჯარი მოსწყვიტონ
ზურგს, საარსებო წყაროს; მაშინ მარტო ჯარი კი არ
იქნება საომარ მდგომარეობაში, არამედ მთელი მოსა-
ხლეობა და ამიტომაცაა, რომ მთავრობა ატარებს
ხალხის გასამხედროებას, ესე იგი, ყველამ უნდა იცო-
დეს იარაღის ხმარება, მტერთა თავდასხმის მოგერი-
ება. ერთი სიტყვით, მომავალ ომებს უნდა შეეხვდეთ
სრულიად მომზადებულნი. ბურჟუაზიული სახელ-
მწიფოები მშრომელ ხალხს ამყოფებენ საზრნელ გაჭირ-
ვებაში და საშაგიეროდ კი გაშმაგებით იარაღდებიან,
მთელ სიმდიდრეს იარაღის, ტექნიკის გაუმჯობესებას
ანდომებენ, ეს უკანასკნელი ტექნიკა კი აეროპლა-
ნებია და მხრჩოლავი ნივთიერებანი, ამის საპასუხოდ
ჩვენს ხელისუფლებას არა სძინავს და აგებს აერო-
პლანებს, იგონებს ახალ-ახალ გაზებს, ამისათვის მთავ-
რობის დამხმარედ შემდგარა საზოგადოება ამ საქმე-
ში ხელის შესაწყობად; მას ჰქვია ავიაქიმი და
მოუწოდებენ აი ამ ქაღალდში, რომ საბჭოთა ყვე-
ლა მოქალაქე ჩაეწეროს წევრებად, რათა ჩვენმა ძლი-
ერმა მომზადებამ მტერს საშუალება არ მისცეს ჩვენზე
თავდაცემის... — უხსნიდა შალვა რაც გაეგონა ავია-
ქიმზე და რაც ჩამოცვინულ მოუწოდებაში ეწერა...
— თუ ეგრეა, ყველანი ჩაეწერებით, შენი კირიმე,
რაზე უნდა გავიჩანავებოთ მტრებს!.. — წარმოსთქვა
მამამ...

შალიკომ მიუთითა, თუ რა გზით შეეძლოთ მათ
ავიაქიმში წევრად შესვლა...

მ.

თუმცა სოფლის მოშორება ენახებოდა შალი-
კოს, მაგრამ სასწავლებელში წამოსვლის დრო ახ-
ლოვდებოდა...



ემხადებოდენ წარმოდგენის გასამართავად.

ზაფხული დღეებს ითვლიდა, და მოდიოდა მსუ-
ქანი შემოდგომა, ნოყიერი ფერდებით...

ახლოვდებოდა რთველი; სხვადასხვა ხილს სცვლი-
და ყურძნის მტევნები ქარვისფერი მარცვლებით,
რომელნიც მზის სხივებით იკოცნებოდენ; მტევანთა
აკიდოები ლამაზად შენოდენ ვაზთა ხეივანს...

რუ ვერცხლის ბუზმენტით ველებოდა ვაზებს
და დელეში ყირაზე გადადიოდა... მზადდებოდა სა-
წნახელი, ირეცხებოდა გეჯა და ლარი, იწვნებოდა ახა-
ლი გოდრები, იკაფებოდა მანეული ჯაგნების ასახ-
მელად; ფუტკარი მარნის გარშემო შემოაწყობილი
სკებიდან გამოფენილიყო ბზუილით და მოსდებოდა
ყვავილებს, სწუწნიდა, თაფლის კვერები და-
მზადებულყო; ბებია მართა ტაშტზე ჯოხის ცემით
აგროვებდა გაფანტულ თაფლის ოსტატებს...

შალვას გული ეურჩებოდა, არ სურდა ამ სურა-
თების მიტოვება, მაგრამ რა ექნა, მას სწავლა სწყუ-
როდა, ის ისევ ქალაქის ამობოქრებულ ქუჩებს უბრუნ-
დებოდა; მუდამ მზიარულ, საყვარელ კოლექტივში
უწევდა გული; არ ეთმობოდათ ტოლ-ამხანაგებს მრ-
სი წამოსვლა.

— ყველა პიონერმა ასე ერთგულად უნდა შე-
ასრულოს დანაბარები, რა ისინი ქალაქიდან სოფ-
ლებში ამოდინ საზაფხულოდ; სასიამოვნო შთაბეჭ-
დილებას სტოვებს, როცა ისინი სოფლის და ქალა-
ქის მშრომელთა დაახლოვებას ხელს უწყობენ... —
ამბობდა აღმასკომის თავმჯდომარე...

— მე ყველაფერს აქ ნახულს ჩვენი კედლის გა-
ზეთში დავწერ, ბავშვობრივად ვარ, დედიკო... აი, გა-
ზეთებში ვინც ამბებს სწერს... მიუგო შალვამ მათ.

ს. ერთაწმინდელი



უკვე დიდი ხანია მრავალრიცხოვანი მოგზაურ-მკვლევარები მიისწრაფიან ენახათ სუსხიანი და ღრასტუმართმოყვარე მხარე, „ქვეყნიერების ზურგი, ხერხემალი“, — ტიბეტი, და განსაკუთრებით მისი სატახტო ქალაქი — ლხასა. ამ ქალაქში ცამეტ-სართულიან სასახლეში ცხოვრობს ყოველის შემძლე მატყველი — დალაი-ლამა, რომელსაც ტიბეტელები წმინდანად სთვლიან.

ტიბეტი — უაღრესად მთიანი ქვეყანაა, რომელიც წარმოადგენს უზარმაზარ ქვა-ლოდის მალღობ ადგილს. როგორც კედელი, ისე ამართული მასა და ინდოეთს შორის ქვეყნიერებაზე ყველაზე უფრო მაღალი მწვერვალი — ჰიმალაის მთები; ჩრთილოეთით ის ისახლვრება ტაკლა — მაკანის და გობის უდაბნოებით, აღმოსავლეთით — ჩინეთით. ასეთი მდებარეობის გამო ტიბეტი მიუვალაა მოგზაურისათვის. გარდა ამისა, ტიბეტის მცხოვრებლები ყველა უცხოელს მეტად მტრულად ეპყრობიან, — განსაკუთრებით მტრულად ისინი ევროპელებს, თეთრკანიანებს ხვდებიან.

ევროპელებს შესვლა ლხასაში სიკვდილის შიშით აკრძალული აქვთ. იყო ევროპელ მკვლევარ — მოგზაურების მხრივ მრავალჯერ ცდა, რომ შესულიყვენ ამ ქალაქში, მაგრამ ეს ყოველთვის მარცხით თავდებოდა. თვით ისეთმა უდიდესმა მოგზაურებმაც, როგორც იყვნენ სვენ გედინი და პრევეალსკი — ვერ შესძლეს ამ ქალაქში შესვლა.

პირველი ევროპელები, რომლებმაც მიახწიეს ლხასადმი, იყვნენ ინგლისელები.

1904 წელს იმათ მოაწყვეს სამხედრო ექსპედიცია და იარაღით და ძალით გაიკაფეს გზა. ამათ ცოტად თუ ბევრად გაიძინეს ეს ქალაქი, მაგრამ მისდამი ევროპელების ინტერესი მაინც არ შენელებულა.

დაბოლოს, ხუთი წლის წინათ, ე. - ი. 1922 წელს, ტიბეტში გასამგზავრებლად მოემზადა მეცნიერული ექსპედიცია, მაგრამ მას არ მისცეს ლხასაში შესვლის ნებაოთვა. მაშინ გაბედულმა მოგზაურმა მონგოპერიმ, მიუხედავად აკრძალვისა, გადასწყვიტა როგორმე შესულიყო ამ ქალაქში. ეს მოთხრობა

გვიამბობს სწორედ იმის შესახებ, თუ როგორ შესძლო მან ეს.

ინდოეთში მოგზაურობის დროს ინგლისელი მოგზაური, მკვლევარი ვლიამ მონგოპერი, დაინტერესდა ტიბეტით, შეისწავლა ტიბეტური ენა და, როდესაც მას წინადადება მისცეს მონაწილეობა მელო მეცნიერულ ექსპედიციაში, რომელიც ტიბეტში მიდიოდა, სიხარულით დასთანხმდა.

ხსენებული ექსპედიცია ინგლისიდან გამოვიდა 1922 წლის დასაწყისში და ერთი თვის შემდეგ მოვიდა დარჯილინგში, ჩრთილოეთ ბენგალიის საზღვხულო სატახტო ქალაქში, სიკიმის საზღვრის მახლობლად. ეს იყო ის დასაწყისი პუნქტი, რომლიდანაც მოგზაურები ჰიმალაის მთების ჯაჭვების გზით უნდა წასულიყვენ ტიბეტისაკენ.


სულ ექსპედიციაში შედიოდა: 5 ევროპელი და რამდენიმე ადგილობრივი მცხოვრები — სხვადასხვა სამსახურის გასაწევად.

ორი თვის მულოდინის შემდეგ, რომელიც საკმარისი იყო იმისათვის, რომ შეესწავლათ ადგილობრივ მცხოვრებთა ცხოვრების წესები და პირობები, და აგრეთვე გავარჯიშებულიყვენ მათ სალაპარაკო ენაში, — მათ გაიგეს მოულოდნელად, რომ მათ არ მისცეს ნება განეგრძოთ გზა. ამჟივად მოგზაურებს სრულიად ხელცარიელი უხდებოდათ უკან დაბრუნება. მაშინ ვილიამ მონგოპერიმ შეადგინა გაბედული გეგმა: გამოიცივალა ევროპული ტანსაცმელი და ისე გაემართა მარტო ლხასისაკენ.

გზაზე მან საიდუმლოდ დაიქირავა მოსამსახურედ ტიბეტელი, რამოდენიმე კული, იყიდა რამოდენიმე პონი და მულა, მოამზადა სურსათის მარაგი და ისე გაემგზავრა, თითქოს სიკიმში მიდიოდა მეცნიერული მიზნით.

მან, რასაკვირველია, იცოდა, რომ მისი მოგზაურობა მეტად სახიფათო საქმე იყო, მაგრამ მაინც უკან არ დაიხია.

რომ რაც შეიძლება ნაკლები ყურადღება მიექციათ მისთვის, ამიტომ ის გაემგზავრა სიკიმში არა მოხერხებული გზით, არამედ მეტად ცუდი და ღრმა ბილიკით.



ჰიპოთეზაზე მეტად ძნელი იყო გადასვლა. ხეობებში მათ მოუხდათ ბრძოლა თოვლის ქარბუქთან, რომელიც მგზავრებს თვალეში სცემდა და არ აძლევდა წინსვლის საშუალებას. ყოველდღე ამინდი თანდათან უარესდებოდა, ძლიერ დაიღალენ, მულებმა და პონებმა უარი განაცხადეს მგზავრობაზე.

აქამდე მონგომერის ჯერ კიდევ არ გაუმხელია თავისი მოგზაურობის მიზანი. ახლა კი ის იძულებული შეიქნა გაემხილა მათთვის ყველაფერი, უთხრა, რომ ის ფიქრობს კორნალის მის მიმართულებით გადავიდეს ტიბეტში აქამდე ის ატარებდა ნახევრად ევროპულ ტანსაცმელს, მაგრამ შემდგომი მოგზაურობა იმდენად სხიფათო იყო, რომ აუცილებელი იყო როგორმე შეძლებისდაგვარად ცდილიყვნენ არაფის აეღო მათზე ყველა. ამიტომ მათ ჩაიცვეს ტიბეტის მცხოვრებლების მსგავსი ტანსაცმელები.

შემდეგი დღე მოგზაურთათვის საშინელი იყო. მათ სახეში სცემდა ყინვის ქარი; უკვე ნახევრად ცოცხალ-მკვდრებს სიცივისაგან და დაღლილობისაგან, — კიდევ მოეწია თოვლის ქარიშხალი, რომელმაც თითქმის არაფრის დანახვის საშუალება არ მისცა არც ცხოველებს და არც ადამიანებს. რაზდენადაც უფრო მაღლა იწევდნენ მგზავრები, იმდენად უფრო სასტიკი ხდებოდა ბუნება: ქარბუქი ძლიერდებოდა, გზა დაეკარგათ, რადგან ის ღრმა თოვლით იყო დაფარული, ხოლო გადახვევ-გადმოხვევა კი სახიფათო იყო, რადგანაც შესაძლებელი იყო ხრამში გადავარდნა. მონგომერის თანამგზავრები საშინლად დაეცენ სულით და წინ მიდიოდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ უკან დაბრუნება კიდევ უფრო სახიფათო იყო.

რამდენადაც უახლოვდებოდნენ ისინი უღელტეხილს, რომელიც ზღვის დონედან 6000 მეტრის სიმაღლეზე იყო, თოვლი იმდენაუ მატულობდა. ეს უღელტეხილი იმყოფება უფრო მაღლა, ვიდრე ყველაზე უფრო მაღალი მთა ევროპისა — მონბლანი. აქ შეუძლებელი იყო ცეცხლის დანთება. უმი გაყინული ხორცი, ქონი, ხმელი ნამცხვარი, — აირით იკვებებოდნენ მგზავრები.

ამ სიმაღლეზე სიცივე პირდაპირ აუტანელი იყო. საითაც არ უნდა მიეპყროთ მათ ყურადღება, მხოლოდ ყინულის მთები და თოვლის ზვინები მოსჩანდა. მყინვარ შუმიმოს მახლობლად, სადაც მოგზაურებმა გადასწყვიტეს დარჩენა ღამის გასათევად, მიწა ისე იყო გაყინული, რომ შეუძლებელი შეიქნა მასში პალოს ჩასობა, რომელსაც კარავი უნდა დაემაგრებია. ერთ-ერთი პონი უგრძნობლად დაეცა. რადგანაც მისი ადგომის იმედი აღარ იყო, მას

ყელი გამოსკრეს. ყველა ისე იყო მარტოობაში, რომ გაათორებულნი ეტანებოდნენ გაყინულ სიბინძურს და არ აცდიდნენ მას გადნობას.



თოვლის ქარბუქი თვალეში სცემდა მგზავრებს და არ აძლევდა წინსვლის საშუალებას.

დიდი გაჭირვებით, მიუხედავად იმისა, რომ ყინულის ქარი ხვდებოდა მათ სახეში, ნახევრად მკვდრებმა, დაღლილებმა მიხწიეს 6000 მეტრის სიმაღლეს. ახლა საქარო იყო დაშვება დაბლა, მეორე მხრისაკენ. თოვლი განუწყვეტლივ მოდიოდა, რაც ძლიერ აბრკოლებდა მათ გზას.

როდესაც მათი ქარავანი შეჩერდა, მაშინ მონგომერიმ კიდევ უფრო ვრცლად უამბო თავის თანამგზავრებს თავისი მიზნის და იმის შესახებ, თუ რა როლი უნდა შეასრულოს თვითეულმა მათგანმა. ერთ-ერთმა ადგილობრივმა მათმა თანამგზავრმა უნდა შეასრულოს ვაჭრის, ქარავანის უფროსის, მოვალეობა. ეს იყო ერთ-ერთი საშუალება იმისა, რომ არ გამოეცნოთ ისინი. ქარავანის პატრონი საუცხოვოდ ასრულებდა თავის როლს, ის იჯდა ერთადერთ ჯანსაღ პონზე, მაშინ, როდესაც მონგომერი ძლივს მიათრევდა მძიმე ტვირთს.

კამპა-კონგადან შიგაქმედის ისე მიდიოდნენ მოგზაურები, რომ ისინი განუწყვეტლივ იღებენ ზომებს, რომ არ ეცნოთ. მონგომერის თანამგზავრებმა უკმაყოფილობა გამოაცხადეს. ვარდა ამისა, ტიბეტში უკვე იყო მისული ცნობა, მონგომერი მიემარ-

თება ლხასსაშიო; მას ყველგან ეძებდენ. მონგომერის თანამხლებელნი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ისინი ვერასდროს ვერ მიახწევდენ მიზანს.



ქ. ლხასსა ერთ-ერთი უბანი.

თითქმის ლხასსამდის მოგზაურები მდინარის ნაპირებზე მიემართებოდენ. მალე სიმშლიისაგან და დალილობისაგან დაიღუპა ყველა მული და პონი. როდესაც გამოჩნდა დალაი-ლამას სასახლე, მაშინ დაეცა უკანასკნელი პონი. თვით მონგომერი ისე შეიქნა ავად, რომ უკვე აღარ შეეძლო სიარული და აყვანილი შეიყვანეს ქალაქში. სწორედ ამ დღეს რაღაც დღესასწაულის გამო ლხასსის 10.000 მცხოვრებს მომატებოდა სხვადასხვა ადგილებიდან 100.000 სული. ამიტომ მოგზაურებმა მხოლოდ დიდი შრომის შემდეგ შესძლეს თავშესაფარის პოვნა. ისინი იძულებული შეიქნენ მიემართათ მოხელისათვის, რომელიც განსაკუთრებით ამ საქმეს განაგებდა. მონგომერი მოათავსეს ისეთ ოთახში, რომელიც მიმართული იყო ცენტრალური მოედნისაკენ. მაგრამ დახეთ: ამ ბინის პატრონი აღმოჩნდა ის, ვისაც დავალებული ჰქონდა მონგომერის დატუსაღება და მისი გადასახლება ტიბეტიდან.

როდესაც მეორე დღეს სტუმარმა ყველაფერი უამბო პატრონს, ის ძლიერ დაიბნა და არ იცოდა რა ექნა. მალე ის დამშვიდდა და გაჩუმდა.

როდესაც გავრცელდა ქალაქში ხმა მონგომერის მოსვლის შესახებ, ბერებმა დაუწყეს ამხედრება ქალაქის მცხოვრებლებს მონგომერის წინააღმდეგ.

მონგომერის ფანჯარასთან თავი მოიყრდნენ მონგომერის მოყვარულნი. მონგომერის მოყვარულნი ხალხმა და მონიხოვდნენ მონგომერის სიკვდილს, ესროდენ ქვებს ფანჯარას. რადგანაც შესასვლელი კარები ძლიერ მაგრად იყო დახურული და აგრეთვე ორი თანამგზავრთაგანი იყო იქ დამცველად დაყენებული, ხოლო თვით მონგომერის ჰქონდა კარგი რევოლვერი, მოსული ბრბო კი ცარიელი ხელებით იყო,—ის თავის თავს უზრუნველყოფილად გრძნობდა.

როდესაც მონგომერის მობეზრდა ასეთ მდგომარეობაში ყოფნა, მან გადაიკვა ტანსაცმელი და გამოვიდა სახლიდან უკანა გამოსავალით. აქ ის შეერია ბრბოში და ისევე დაიწყო ყვირილი, როგორც სხვებმა, ისროდა ქვებსაც, მაგრამ ისე, რომ არ მოხვედროდა მისი ოთახის ფანჯარებს. სახლი, რომელშიც შეჩერდა მონგომერი, ერთადერთი იყო, რომელსაც ჰქონდა ფანჯრები მინებით, ადგილობრივი მცხოვრებლები კი მინის მაგიერ გაზეთილ ქაღალდს ხმარობდნენ.

შემდეგ მონგომერმა გაიგო, რომ ტიბეტის ლაშქრის უფროსს ჰყავდა ჯარი, რომელიც დაეხმარებოდა მას, თუ საქმე ძლიერ გართულდებოდა.

შემდეგ დღეებში მონგომერის შინ მოუხდა ჯდომა. ფანჯრიდან ის ათვალთვრებდა ქუჩის ცხოვრებას.

ძლიერ გაკვირვებული დარჩა მონგომერი, როდესაც მას გადასცეს საიდუმლო მოწერილობა — გამოცხადებულიყო დალაი-ლამას სასახლეში.

ის წაიყვანეს დალაი-ლამას სასახლისაკენ ოღრო-ჩოღრო გზით, საიდუმლო გზით დაბოლოს ის შეიყვანეს პატარა, ცუდად განათებულ ოთახში. როდესაც მონგომერი ცოტათი გაერკვია სიბნელეში, მან დაინახა თავის წინ ყველაზე დიდი დალაი-ლამა. ეს იყო ჩვეულებრივი ადამიანი, რომელსაც არაფერი განსხვავებული არ ჰქონდა სხვა მცხოვრებთაგან.

დალაი-ლამამ მონგომერი მეტად აღერსიანად მიიღო, გამოჰკითხა მოგზაურობის მიზანი, ძლიერ გაუკვირდა ის გმირობა, რომელიც გამოიჩინა ექსპედიციამ ჰიმალაიზე გადმოვლის დროს. დალაი-ლამა სიამოვნებით აძლევდა პასუხს შეკითხვებზე, რომელსაც მას აძლევდა მონგომერი. ამის შემდეგ მან მიიწვი ურჩია მოგზაურს წასულიყო იქედან მალე, რადგანაც ვერ იკისრებდა მის უზრუნველყოფილად ყოფნას, თუ ისინი დარჩებოდნენ ლხასსაში.

და, მართლაც, საჭირო იყო ფიქრი უკან დაბრუნებაზე.



საქართველოს
წიგნების
კავშირის
სამხრეთ-დასავლეთი
ბიურო

მეორე დღეს ტიბეტის ჯარისკაცთა თანხლებით მონგოლური გამოვიდა ქალაქიდან და გაემართა კარგი გზით ინდოეთისაკენ. რამდენადაც უდი იყო გზა ლხასისაკენ, იმდენად სასიამოვნო იყო ახლა უკან დაბრუნება. ისინი მიდიოდნენ პირველად მდინარის ნაპირას, რომელიც ამწვანებული იყო, შემდეგ გამოჩნდა მინდვრები, სადაც მწყესავდნენ იაკებს. მცხოვრებლებიც სტუმართმოყვარენი აღმოჩნდნენ, ისინი კარგად ხვდებოდნენ მოგზაურებს. შემდეგ

კვლავ გამოჩნდა ჰიმალაის უღელტეხილები. ზედაც მძიმე გადასასვლელი იყო; რასაკვირველია — უფრო უკეთესი, ვიდრე ლხასისაკენ მიმავალი მათი გზა. გზაზე ისინი ხშირად ისვენებდნენ, კარგადაც იკვებებოდნენ.

რამდენიმე ხნის შემდეგ მონგოლური უკვე ბენგალიაში იყო. მისი დაბრუნება ყველასათვის საკვირველი იყო, რადგანაც ის დაღუპული ეგონათ.

ზაბელო

ს ო ფ ლ ი დ ა ნ ღ ა ბ რ უ ნ ე ბ ა

პა, ტაროსმა დაჰკრა ცივმა,
გადაყვითლდა მწვანე მოლი,
ქარმა ქოხებს შემოწივლა
და ამორბის ბუხრებს ბოლი.

გადაეკრა ზეცას თალხი,
აციმციმდა ველზე რთვილი,
და სულ მალე შტოებს დახრის
წაბლი ფოთლებშემოცლილი.

აჰა, მწყემსი მისდევს ფარას,
გაიმღერის წრფელის ხმითა;
და მიჰყვება გლეხი შარას
მძიმე ურმის ქრიალითა.

ფიქრობს ვანო:რა ტკბილია
სუნი შემწვარ სიმინდისა,
მაგრამ რა ვქნა, მიილია,
დრო არ დარჩა სოფლად ცდისა.

ეხ, ვინ იცის, კვლავ მოსვლამდე
დედა დღეებს როგორ დათვლის.
ველარ მოვალ გაისამდე,
ქალაქს მივალ სწავლისათვის.

თავს ნუ მისცემ, დედი, წუხილს,
დავბრუნდები ერთი-ასად.
დე, ქალაქის მძიმე ქუხილს
მიემატოს ჩემი ხმაცა.

იქ ბევრი მყავს ძმები კიდეც,
ყველა არის შრომის შვილი,
და თუ მტერი შემოგვიტევს, —
ნორჩ ტყესავით გადაშლილი

ჩვენც შევუტევთ ერთად ყველა,
ჩვენც კარავებს დავდგამთ მთებზე,
რომ ჩენი ხმაც გაისმოდეს
აღმოდებულ ბრძოლის ველზე.

მაშ ნახვამდის — ჰკოცნის დედის,
თან ვაჰყურებს სოფლის სერებს.
მურია კი, მუდამ ყბედი,
მას ულოკავს პაწა ხელებს.

მიდის ვანო ბილიკებზე,
მღერის სახემოლიმარი.
იქ კი, დაბლა, ტრიალ ველზე
მისისინებს ცივი ქარი.

გ. სიოშვილი.



ე მ წ ა ლ ა თ ს ა ა ა ვ შ ი რ ო გ ა მ ო კ ა ს ხ ა ბ ი ს ა თ ვ ი ს

საქარ. ახ. ლ. კ. კ. ცეკას და ბ. კ. ო. ბ. წერილი საქართველოს ნორჩ პიონერთა ყველა ბიუროს და კოლექტივს.

ძვირფასო ამხანაგებო!

საქ. ახ. ლ. კ. კ. ცეკას დადგენილებით, ა/წ. 20 აგვისტოდან, როგორც საქართველოს საბჭოთა პარტიულ, კომკავშირულ და პიონერულ პრესის ფურცლებზე, „კომსომოლსკაია პრედაში“ და „პიონერსკაია პრედაში“ ს. ს. რ. კ. პიონერ-ორგანიზაციათა მიხწევების საკავშირო გადასინჯვა იწყება.

საქართველოს პიონერ-ორგანიზაციას თავის განვითარებაში უკვე აქვს მუშაობის გამოცდილება ნაწილობრივი სიძნელეების გადალახვის შემდეგ მთელი რიგი ახალი დაწყებების და წარმატებების პიონერ-მუშაობის შინაარსის გაუმჯობესების დარგში; პიონერ-მობრძობის თითქმის ყველა ქვედა მუშაკის მიერ შეგნებულია ჩვენს წინაშე მდგომი მორიგი ამოცანები; განსაკუთრებულად აუცილებელია და საჭირო, რომ გამომტყუნდეს ყველაფერი, აუცილებელია ნაჩვენები იქნეს, თუ როგორ წარმატებით შესძლეს საქართველოს ცალკე ორგანიზაციებმა ამა თუ იმ ღონისძიების ჩატარება, ჩვენი მთელი მუშაობის გასაუმჯობესებლად მიმართული. გამოცდილებით გამდიდრებულნი, გადაიღებენ რამას ს. ს. რ. კ. ორგანიზაციები, შესძლებენ გაბედულად გადააბიჯონ არსებულ სიძნელეებს. ამიტომ ს. ა. ლ. კ. კ. ცეკა წინადადებას აძლევს საქართველოს ყველა ორგანიზაციას, რომ საკავშირო გადასინჯვაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ.

ყოველ ორგანიზაციასა და კოლექტივს გამოაქვს საჩვენებლად თავისი მიხწევები; თუნდა სრულიად სადა, უბრალო: როგორ ჩაატარეთ კონკრეტულ ამოცანათა მეთოდი, როგორ მოაგვარეთ დასვენება, როგორ დაინტერესდით ტექნიკური ხელოსნობით და წრეებით, როგორი სამხედრო და სხვა კუთხეები, სასროლი აბრები და წრეები იქნენ შექმნილი, როგორია კომუნისტური პარტიისა და კომკავშირის ხელმძღვანელობით მუშაობის შედეგები პიონერთა გაჯანსაღების სფეროში, როგორი მიხწევები იყო აგრეთვე ფორპოსტების მუშაობაში, როგორი

საზოგადოებრივ—სასაზრგებლო შრომა ჩაატარეთ, როგორ მონაწილეობას იღებდით სასოფლო მეურნეობის განვითარებაში, როგორი კონკურსები ჩაატარეთ, როგორია მიხწევები ნ. პ. ბიუროს მეთოდ ხელმძღვანელობის სფეროში და სხვ.

საქართველოს ყველა ორგანიზაციას ეძლევა წინადადება დაუყოვნებლივ შეუდგენ თავისი ორგანიზაციის მიხწევების შესწავლას. აი ამისი ერთ-ერთი საშუალება, რომელზეც მიგვითითებს ცეკა: მოწყობილ უნდა იქნეს პიონერ მუშაკების მიერ კოლექტივის ურთიერთ გამოკვლევა (სპეციალურ გამოყოფილი უფროსი ასაკის კომკავშირელების და პიონერების ჩათრევით) საინტერესო ფაქტების შესასწავლად. ამ მუშაობას შედეგად უნდა მოჰყვეს მიხწევათა დღიურები (ცნობები, თუ რა მიემატა ახალ ორგანიზაციას ბოლო წელში, და იმ პირთა სია, რომელნიც ატარებდენ ამ მუშაობს და რომელთაც შეუძლიათ გაგვიზიარონ გამოცდილება).

ამ ფაქტების დაგროვების და მათი ინიციატივების გამოვლინების შესახებ აუცილებელია შეძლებისდაგვარად ყველა კოლექტივმა უშუალოდ გადმოგზავნოს ცნობები მასალების გადასინჯვის კომისიაში (ს. ა. ლ. კ. კ. ცეკასთან)

გადასინჯვის კომისიაში შედიან: ამხ. ამხ. გობეჩია, იმედაძე, მაჩაბი ორახელაშვილი, ს. ბ. კ. ო. ც. ბ. თემჯღლამარე; „ახალგაზრდა კომუნისტის“ და შურ. „პიონერის“ რედაქტორები.

ბიუროები და კოლექტივები, რომელნიც გააშუქებენ თავის მიხწევათა დიდ რაოდენობას, ანდა უფრო საინტერესო მიხწევებს, და გადმოგზავნიან გამოცდილებათა საუკეთესო ცნობებს ან კრებულებს, ჯილდოს მიიღებენ ა. ლ. ე. კ. ცეკადან.

ჯილდო — 1. ლენინის დროშა; — 2. „პრავდას“ დროშა; 3. — „პიონერსკაია პრავდას“ დროშა.


ამას გარდა მიეცემა 50 ჯილდო კოლექტივებს და ინიციატორებს.

საქ. ა. ლ. კ. კ. ც. კ. და ბ. კ. ო. ც. ბ.

საკო და ვანცეტი მოჰკლეს

1920 წლის მაისში, ბოსტონში, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების სამრეწველო ქალაქში, დაატუსაღეს მუშა—რევოლუციონერები საკო და ვანცეტი.

დატუსაღებისას საკოს უნახეს 500 აფიშა, რომელიც ატყობინებდა მუშებს მიტინგის მოწვევის შესახებ. ამ მიტინგზე საკო და ვანცეტი ფიქრობდნენ ეამბნათ მუშებისათვის იმის შესახებ, თუ რისთვის გაგიჟდა რევოლუციონერი სალსედო, რისთვის გადმოვარდა ის მე-IV სართულის ფანჯრიდან...



საკო და ვანცეტი.

ამ მიტინგის მოწყობის შესახებ გაიგო გენერალურმა პროკურორმა პალერმა, — რომელმაც აწამა სალსედო. ამის შემდეგ სასიკვდილო მახვილი აღიმართა ამ ორი რევოლუციონერის, საკოს და ვანცეტის წინააღმდეგ.

რადგანაც მათ დასასჯელად საკმაო საბუთები არ ჰქონდათ, ბურჟუაზიულმა სასამართლომ სხვისი დანაშაული მოახვია მათ თავს: საკოს და ვანცეტის ბრალი დასდევს ვილაც „მეარტელეს“ მოკვლაში. ამის შემდეგ შესდგა სასამართლო, რომელმაც მათ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა.

1925 წლის ზაფხულში რაღაც სხვა საქმეზე დატუსაღებული მაიდეროსი გამოტყდა „მეარტელეს“ მკვლელობაში. მიუხედავად ამისა, საკოსა და ვანცეტის საქმის მდგომარეობა არ შეცვლილა, გაბოროტებულმა ბურჟუაზიულმა კლასიურმა სასამართლომ ყურადღებაც არ მიაქცია ამ განცხადებას, რადგანაც ის ძლიერ მონდომებული იყო თავისი მტრების—რევოლუციონერების—მოსპობაში.

უკანასკნელად საკოს და ვანცეტის საქმე გადაწყვეტად გადადის მასაჩუსეტის შტატის გუბერნატორის ფულერის ხელში. მაგრამ მან არათუ შეიბრალა ორი უდანაშაულო მსხვერპლი, არამედ კიდევ დააჩქარა მათი სიკვდილის განაჩენის სისრულეში მოყვანა.

მთელი ქვეყნის მუშები აღშფოთებული იყვნენ ბურჟუაზიული სასამართლოს ასეთი საზიზღარი გადაწყვეტილებით. არ დარჩენილა ქვეყნიერების არც

ერთი ნაწილი, რაღაც არ მოეწყობთ საკოსა და ვანცეტის დასაცავი დემონსტრაცია. ყველგან, ყველგან მოითხოვდნენ უდანაშაულო მსხვერპლთა განთავისუფლებას, მაგრამ ბურჟუაზიამ მაინც თავისი ჰქნა: 23 აგვისტოს ნაშუალამკვს ელექტრონის ჩქერით მოჰკლეს ისინი. აა, როგორ იტყუებიან ამის შესახებ:

სიკვდილით დასჯილთა საკანში სწარმოებს მზადება. ჯალათი მზადაა. საკოს ცოლმა და ვანცეტის დამ ინახულეს მაჯავრდებულები 22 აგვისტოს სალამოს და გამოვთხოვენ მათ. ციხე გარშემორტყმულია პოლიციის ძლიერი რაზმებით. მოძრაობა ციხის რაიონში შეწყვეტილია.

სამი საათით ადრე დასჯის წინ ციხის ადმინისტრაციამ აცნობა საკოს და ვანცეტის, რომ ღამით მათ დასჯიან. ორივემ მტკიცედ მოისმინა ცნობა. საკომ დაიწყო წერილის წერა მამისადმი იტალიაში.

შუალამისას საკო და ვანცეტი შეიყვანეს იმ საკანში, სადაც დგას ელექტრონის სკამი. სკამთან ორივე მივიდა სხეების დაუხმარებლად. პირველად შევიდა საკანში და დაჯდა სკამზე საკო. სკამზე საკომ შესძახა: „გაუმარჯოს ანარქიას! მშვიდობით ცოლ-შვილო და ყველა ჩემო მეგობრებო!“

როდესაც საკოს გვამი გაიტანეს, საკანში შევიდა ვანცეტი. როცა დარაჯები ჰკრავდნენ ღველებს ვანცეტის თავზე და ფეხებზე, მან წარმო-



საკოს ქალიშვილი.

სთქვა: „მე უდანაშაულო ვარ და არასდროს არ ჩამიდენია არავითარი დანაშაული. გამადლობთ ყველაფრისათვის, რაც გააკეთეთ ჩემთვის“.

ასე უსწორდება ბურჟუაზია და მისი სასამართლო მუშებს, რევოლუციონერებს. მაგრამ ეს სრულიად ვერ შეაშინებს მებრძოლ მუშათა კლასს, რომელიც სულ მალე მოსპობს მათ ბატონობას.



ინგლისელი პიონერები საჭოტა კავშირში

ინგლისელი პიონერ. აზხ. ა. რიკოვთან.

ინგლისელი პიონერების დელეგაციამ მოსკოვის მახლობლად მდებარე ავარაკზე ინახულა საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე აზხ. ა. რიკოვი.

აზხ. რიკოვის ნახვის შემდეგ 12 წლისპიონერმა მიუღერმა ინგლისის სამთამადნო მუშების ფაიფის რაიონის გაზეთს გაუგზავნა შემდეგი წერილი:

„ჩვენმა დელეგაციამ, რომელიც იმყოფებოდა ერთ-ერთ დასასვენებელ სახლში, გაიგო, რომ აზხ. რიკოვიც ისვენებს მახლობელ დასასვენებელ სახლში. ჩვენ მაშინვე გადავწყვიტეთ ვსტუმრებოდით მას. ჩვენ გვეგონა, რომ მივიდოდით დიდ სასახლეში, სადაც ცხოვრობს საბჭოთა მთავრობის მეთაური. მაგრამ ჩვენ ძლიერ გაკვირვებული დავრჩით, როდესაც დიდი სასახლის მაგიერ ჩვენ მივედით ჩვეულებრივ პატარა სახლში, სადაც ცხოვრობს ასეთი დიდი ადამიანი.

შემდეგ დავათვალიერეთ ის მიდამოები, სადაც ცხოვრობს აზხ. რიკოვი. ეს მიდამო უმთავრესად შესდგება ბოსტნისაგან, რომელშიაც მუშაობდა თვით რიკოვი. ბოსტნისაკენ ჩვენ გაგვაცილა რიკოვის ცოლმა, ხოლო შემდეგ კი ჩვენთან მოვიდა თვით რიკოვი, რომელიც აღმოჩნდა ყველაზე კეთილი ადამიანი ყველა იმათ შორს, ვინც კი მე მინახავს და მქონებია საუბარი ცხოვრებაში. ა. რიკოვი მოგვესალმა ყველას გულთბილად და აგრეთვე გაგვიმასპინძლდა მაყვლით. აზხ. რიკოვმა გვითხა, თუ რატომ არ მოვიდა ჩვენი დელეგაციის თავმჯდომარე ნეპსი ხოლლი. როდესაც ჩვენ ვუპასუხეთ, რომ ის ავადაა, მან იმ წუთშივე მოსჭრა მშვენიერი ყვავილები, რომლის გადაცემაც გვთხოვა ავაღმყოფისათვის.

როდესაც ჩვენ აზხ. რიკოვისაგან მოვდიოდით, ყველანი ვფიქრობდით: ბოლდუინი და ჩემბერლენი ხომ ახლოც კი არ გვიშვებენ თავიანთ სახლებთან“.

ინგლისელი პიონერები ტფილისში.

წ აგვისტოს დილით ტფილისში ჩამოვიდა 6 ინგლისელი პიონერი.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ინგლისელი ბავშვების გამომგზავრებამ ინგლისის კონსერვატიულ საზოგადოებაში მთელი აურზაური გამოიწვია. მათი საბჭოთა კავშირში გაპოშვების საკითხი თემთა პალატაშიაც კი დაისვა. კონსერვატორებაარ მოერიდენ არავითარ ღონისძიებას, რომ ბავშვების განზრახვის შესრულებისათვის ხელი შეეშალათ.

მაგრამ ვერაფერმა ვერ გასჭრა. ბავშვები უვიზოდ, ნებადაურთველად გამოემგზავრენ საბჭოთა კავშირში. ერთ თვეზე მეტია, რაც ისინი მოგზაურობენ საბჭოთა კავშირში, იყვნენ ლენინგრადში, მოსკოვში, ივანოვო-ვოზნესენსკში, სამხრეთ-რუსეთის ქალაქებში, ბაქოში და გუშინ ეწვიენ ჩვენს ქალაქსაც.


ბავშვებს თან ახლავთ ინგლისის კომკავშირის ცეკას წევრი რობერტ მაკ-მილონი და ინგლისის კომპარტიის ცეკას წევრის გალახერის ცოლი.

შეხვედრა სადგურზე

სადგურზე ახალგაზრდა სტუმრებს შეეგებენ პიონერთა ორგანიზაციების და კომკავშირის წარმომადგენლები.

ბავშვები მეტად ცოცხალ შთაბეჭდილებას ახდენენ, სიმკვირცხლე, გაბედულება და ცნობისმოყვარეობა ახასიათებს ყოველ მათგანს. ღიმილით და აუწყრელი სიხარულით ხვდებიან ისინი თავის პატარა მასპინძლებს.

იმართება საუბარი პატარა სტუმრებთან, გაკვირვებს მათი დაკვირვებული კითხვები და საუბრის თემა. კარგად ერკვევიან პოლიტიკურ საკითხებში, მიუხედავად იმისა, რომ ასაკით მკირეწლოვანი არიან (10—14 წლის).



სასახლეში

მცირე შესვენების შემდეგ ახალგაზრდა სტუმრები მიდიან სასახლეში. აქ მათ ხედვებთ საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ანხ. შ. მათიკაშვილი. ბავშვები აძლევენ კითხვებს ჩვენი მოზარდი თაობის მდგომარეობის, ყოფა ცხოვრების, ახალგაზრდა მუშების შრომისპირობების, სწავლა-განათლების და სხვათა შესახებ.

პასუხით ბავშვები კმაყოფილი არიან. დასასრულ ბავშვები უხდიან მადლობას და ემშვიდობებიან ანხ. მათიკაშვილს.

ეროვნულ გალერეიაში და მუშათა კლუბებში

სასახლიდან ბავშვები მიჰყავთ საქართველოს ეროვნულ გალერეიაში. აქ ახალგაზრდა სტუმრები ვაკვირვებით ათვლიერებენ ექსპონატებს და არ მალავენ თავიანთ აღტაცებას.

ნასადიოვეს, მცირედენი შესვენების შემდეგ ბავშვები შეუდგენ მუშათა კლუბების დათვლიერებას. მათ მოასწრეს თითქმის ყველა კლუბის ნახვა, სადაც დაესწრენ კონცერტებს და სხვა გასართობს.

დღეს ბავშვები ესტუმრებიან პიონერებს და სხვა საბავშვო ორგანიზაციებს.

რას ამბობენ ინგლისელი პიონერები

— ის, რის ნახვაც ჩვენ მოვასწარიით საბჭოთა კავშირში ამ ერთი თვის მოგზაურობის დროს, — ამბობენ ინგლისელი ბავშვები, — გვარწმუნებს, რომ თქვენ, საბჭოთა ახალგაზრდები, ცხოვრობთ უფრო უკეთეს პირობებში, ვიდრე ინგლისის მშრომელი ახალგაზრდობა — მუშები და მათი შვილები.

ინგლისში ბავშვები (14-16 წლამდე) მუშაობენ წარმოებებში 8 საათს და ღებულობენ მეტად დაბალ ხელფასს. თქვენში კი ამ ასაკის ბავშვები მუშაობენ მხოლოდ ოფის საათს. ახალი ფაბრიკები, რომლებიც თქვენში შენდება, უკეთესია, ვიდრე ინგლისის ამჟამად არსებული ფაბრიკები. ინგლისის ფაბრიკებს არ უფარვთ ვენტილიაცია, რაც ცუდად მოქმედობს ახალგაზრდა მუშების ჯანმრთელობაზე. საბავშვო ბავშვები, რომელიც ჩვენ თითქმის ყველა ქალაქებში ვინახულებთ, ჩვენზე დიდ შთაბეჭდილებებს ახდენდნენ. გარწმუნებთ, რომ არავითარი ამისმსგავსი ინგლისში არ არის დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენზე მუშათა საბჭოებმა. ჩვენ ვხედავთ, რომ საბჭოები მართლაც მუშებისაგან შესდგება. ინგლის-

ში ადგილობრივი თვითმართველ ობიექტების მოწყობის ნი არიან დიდებულ სახლებში და შესდგებიან უმთავრესად ვაჭრებისა, მცდეუქნეებისა და ჩინოვნიკებისაგან. ჩვენ დიდად კმაყოფილი ვართ საბჭოთა კავშირის პიონერების სტუმართმოყვარეობით და მეგობრული მიღებით.



ჩინელი ბავშვები მუშაობენ კაობში.


— ჩვენ საბჭოთა კავშირში ჩამოვედით იმ დროს, როდესაც ინგლისის იმპერიალისტები ომით ემუქრებიან საბჭოთა კავშირს. ჩვენ გპირდებით, რომ ჩვენ მშობლებს, მუშებს და მათ შერლებს გავაცნობთ დაწვრილებით ყველაფერს, რაც აქ ვნახეთ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ისინი არ აიღებენ თოფს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გაპოსალაშქრებლად.

ზაპასში

ნ აგვისტოს დილით ინგლისელი პიონერები კომკავშირის წარმომადგენლების და საქართველოს პიონერთა ორგანიზაციების ხელმძღვანელების თანხლებით გაემგზავრნენ ზაპსის დასათვლიერებლად.

ბავშვებმა დაათვლიერეს ზაპსის სათაფის ნაგებობანი, არხი და საგერენატორო სადგური. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბავშვებზე საკუბარზე გადმოშვებულმა ჩანჩქერმა. ლენინის გრანდიოზული ძეგლის წინ რამდენიმე წუთს განცვიფრებული იდგნენ.

პატარა სტუდენტებს თან დაჰყვებოდა ინჟინერი, რომელიც უხსნიდა ყოველი შენობის და მანქანა-დადგმულობის დანიშნულებას,



ბავშვები გულდასმით ათვალისწილებდნენ ყველაფერს და ასეთივე ყურადღებით ისმენდნენ ახსნა-განმარტებებს, რომელიც სწრაფად შეპქონდათ თავიანთ უბის წიგნებში.

დასასრულ პიონერებმა თავის გამყოლებთან ერთად გადაიღეს სურათი.



სურათზე გადახატული არიან ინდოელი ბავშვები, რომლებიც სიმშობისაგან ძლიერ დასუსტებული არიან.

კომკავშირის ცეკაში

მცირეოდენი დასვენების შემდეგ ბავშვები ესტუმრნენ საქართველოს კომკავშირის ცეკას. აქ ისინი მიიღო ცეკას სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგემ. გაიმართა საუბარი პიონერთა მოძრაობის შესახებ საქართველოსა და ამიერკავკასიაში. თავის მხრით ინგლ. პიონერებმა დამსწრეებს გააცნეს კომკავშირის და პიონერთა მოძრაობა ინგლისში.

პიონერთა კოლექტივები

კომკავშირის ცეკადან დაბრუნების შემდეგ პიონერები გაეპარნენ ქალაქის სხვადასხვა რაიონებში პიონერთა კოლექტივების დასათვალისწინებლად. თვითვე კოლექტივში პატარა სტუმრებმა დაჰყვეს 20—30 წუთი. კითხულობდნენ კოლექტივის წევრთა რაოდენობას, პიონერთა ასაკს, კულტურულ საგანმანათლებლო მუშაობის ხასიათს, კოლექტივის ყოველდღიურ საქმიანობას, დამოკიდებულებას კომკავშირისა და პარტიულ ორგანიზაციებთან და სხვა.

პიონერები ეწვიენ აგრეთვე ტფილისის პიონერთა კლუბს.

ქალაქში

სალამოს პიონერებმა დაათვალისწინეს ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები. ავიდნენ ფუნოკულიორზედაც, საიდანაც დიდხანს დაჰყურებდნენ გაჩირადნებულ ქალაქს.

კოჯორაში

კვირას, 7 აგვისტოს, ინგლისელი პიონერები თავისი ხელმძღვანელებით ეწვიენ ბავშთა საზაფხუ-

ლო ქალაქს — კოჯორს, სადაც რამოდენიმე პიონერებმა დაათვალისწინეს საზაფხულოდ გაზაფხულ ბავშთა სახლები და გაეცვენნენ ბავშვების საზაფხულო მუშაობას და მეცადინეობას, —ახალშენის-ყოფა-ცხოვრებას და სხვა.

ახალგაზრდა სტუმრებზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება-დასტოვა კოჯორის ახალშენის ბავშვების თიზიკურმა სისაღმე და ჯანმრთელობამ.

პიონერებმა დაწვრილებით ჩაიწერეს კოჯორში ნახულ-გავონილი.

დეღეობის შემდეგ

კოჯორიდან დაბრუნების შემდეგ უნდა გამართულიყო პიონერთა მიტინგი ინგლისელი ამხანაგების საპარტიკულად, მაგრამ მიტინგი ვერ შესდგა, რადგან პიონერებს მატარებელზე აგვანდებოდათ. კვირას ღამის 10 საათზე ინგლისელი სტუმრები გაეგზავრნენ ბათომში, სადაც დაათვალისწინებენ საბავშვო ორგანიზაციებს, ხოლო იქიდან გემით წავლენ ყირიმში. ამ თვის დამლევს პიონერები დაბრუნდებიან ინგლისში.

ინგლისის პიონერები ბათომში

10 აგვისტოს, ბათომში ჩასვლის მეორე დღეს, ინგლისის პიონერებმა დაათვალისწინეს უპატრონო ბავშთა კოლექტორი მახინჯაურში. კოლექტორის დათვალისწინებამ დადი შთაბეჭდილება მოახდინა პიონერებზე.

„ჩვენში — ლონდონში — ყველა ბავში სუსტია, აქ კი ყველა ჯანმრთელია და თვითონ ამუშავენ თავიანთ ბოსტანსა და ჩაის პლანტაციებს“, აცხადებენ პიონერები.

ფრანგ პიონერთა დელეგაცია მოსკოვში

საფრანგეთის კომპარტიის წევრის ეაკ რენაკოს შეთაურობით 13 აგვისტოს მოსკოვში ჩამოვიდა ფრანგ პიონერთა დელეგაცია.

გერმანიის პიონერების დელეგაცია მოსკოვში

დენპროპეტროვსკი. დონის აუზიდან ჩამოვიდა გერმანიის პიონერების დელეგაციის მეორე ნაწილი. ყირიმში გამგზავრების წინ დელეგაციამ მიმართა ინგლისის ბავშვების დელეგაციას, რომელიც ამჟამად საბჭოთა კავშირში იმყოფება, წერილით, რომელშიაც ნათქვამია:

„თქვენ, ალბათ, გაიგონებდით იმის შესახებ, რომ ინგლისი ამზადებს ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ თქვენ იმპერიალისტებს სურთ მსოფლიოში ერთადერთი საბჭოთა სახელმწიფოს დამარცხება. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თქვენ, ინგლისის მუშების ბავშვები, ინგლისში დაბრუნების შემდეგ მოუწყვებით ყველა მუშას და მათ ბავშვებს ყველაფერს, რაც ნახეთ საბჭოთა კავშირში, და მით ხელს შეუწყობთ ომის თავიდან აცილებას.“

კ ა რ ლ ნ ო ზ ი ს ს ა უ ბ ა რ ი

რითი უნდა კვებოთ ქათმები?

ქათამის კვერცხი შესდგება ცილისაგან, გარსისაგან და ღენქაპოსაგან. კვერცხის დადების განმავლობაში ქათამს უნდა ვაძლიოთ ისეთი საკვები, რომელიც ხელს შეუწყობს უფრო მეტი დაამუშაოს ცილა, გარსი და ღენქაპოს მასალები. ამიტომ ქათმებს უფრო მეტად უნდა ვაძლიოთ ცარცი, კარი, ქვიშა და დაფქვილი ძვლები. თუ საკვებში საკმარისი არ იქნება კირი, მაშინ ქათამი დადებს ისეთ კვერცხს, რომელსაც მეტად სუსტი ღენქაპო ექნება, ანდა სულ არ ექნება ის. რასაკვირველია, ასეთი კვერცხს მაინდამაინც დიდი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია.

ამიტომ ქათმებს მუდმივად უნდა ჰქონდეს საყოფად კირის ფხენილი, ან კიდევ უფრო უკეთესი იქნება—თუ ექნება დაფქვილი ძვლები, რომელიც ძლიერ უწყობს ხელს კვერცხის გაძლიერებულ დებას!

გარდა ასეთი საკვებისა, ქათმები სიამოვნებით სჩიქნიან მხვილ ქვიშას, ქვებს. ესენიც აუცილებელია საქმელის გადასახარზავად. ქვიშა დაქვები ქათმის კუჭში, როგორც საფქვევ წისქვილში, ისე აქუშავენს საქმელს, ფქვევს მას, რითაც მას ხდის უფრო კარგად შესათვისებელს კუჭისათვის და ნაწლავისათვის.

რისთვის უნდა მივცეთ ქათმებს შერეული საკვები?

ერთ-ერთი ამერიკელი მეცნიერი დააინტერესა იმ საკითხმა, თუ რომელი საკვები უფრო უწყობს ხელს ქათამს კვერცხის გამომუშავებაში. თავისი მუშაობით მან გამოარკვია, რომ თუ 100 ამერიკულ გირვანქა (ამერიკული გირვანქა 1/10 უფრო მეტია ჩვეულებრივზე) საკვებს მივცემთ ქათმებს, მაშინ მათ შეუძლიათ მოგვცენ:

	ცილა	გარსი
სიმინდისაგან	225	131
ქერისაგან	243	182
ქვავისაგან	178	128

მზისუმზირისაგან	233	266
მუხუდოსაგან	189	305
ლიცერის ფქვილისაგან	136	170
კომბოსტოსაგან	20	40
მ.იხ. კართოფლისაგან	55	15

ამ ცხრილებიდან სჩანს, რომ ზოგი საკვები უფრო უწყობს ხელს ცილის შემუშავებას, ხოლო ზოგი კი გარსის. ვინც ამცხრილით ისარგებლებს, მას შეუძლია შეადგინოს სხვადასხვაგვარი შერეული საკვები ქათმებისათვის.

ასე, მაგალითად, რომ ქათამს ვაქამოთ მარტო სიმინდი, თუ ის შესჭამს 100 გირვანქას, მას შეუძლია მოიტანოს მხოლოდ 134 კვერცხი, ხოლო ცილა მას კიდევ შეეძლო მოეცა ოთხმოცდათერთმეტით მეტი. მაგრამ რადგანაც საკვებში არ იყო საკმარისი გარსი, ამიტომ მას არ შეუძლია 134-ზე მეტი კვერცხის დადება, ხოლო დანარჩენი ოთხმოცდათერთმეტი ცილა კი ტყუილა—უბრალოდ დაიკარგა.

იმისათვის, რომ საკვების ნაწილი ტყუილა-უბრალოდ არ დაიკარგოს, საჭიროა ქათმებს მიეცეს სხვადასხვა საკვები. სიმინდის საკვებს უნდა დამატოს მზისუმზირა, ხორცი, ლიუცერნა და სხვა. ერთი სატყვიით, ისეთი საკვები, რომელიც ხელს უწყობს გარსის შექმნას.

კართოფილი არ უნდა ვაქამოთ, რადგანაც ის ხელს უწყობს კვერცხის დადების დაკლებას.

კომბოსტოს მიცემა სასარგებლოა პურეულ საკვებთან ერთად.

რომ ქათმებმა ბევრი კვერცხი დასდონ, ამისათვის სასარგებლოა მათ მივცეთ ხორცი და დაფქვილი ახალი ძვლები, რაც ძლიერ უწყობს ხელს ბევრი გარსის დამუშავებას. ხოლო თუ მას შევეურვეთ ხორბლეულობას, მაშინ ის ხელს უწყობს ცილას გაძლიერებულ დამუშავებას. ხორბლეულობა წარმოადგენს ყველაზე უფრო სასარგებლო საკვებს.

ხორცი ქათმებს უნდა ვაძლიოთ მხოლოდ ზამთრობით, ზაფხულობით ისინი თვითონ იპოვნიან გარკით

ხორცის საკვებს სხვადასხვანაირი მწერების, პეპლე-
ბის, მატლების სახით და ასე შეავსებენ გარსის საკვებს.
ამგვარად, ქათმებს ისეთი საკვები უნდა მიეცეთ,
რომ მაში შედიოდეს სხვადასხვანაირი მასალა. საქ-
როა, რომ ერთი საკვები ავსებდეს მეორეს, მესამეს
და ხელს უწყობდეს ბევრი ცილისა და გარსის შე-
მუშავებას.

ასე, მაგალითად, წონის მიხედვით, 1 ნაწილი
სიმინდი, 1 ნაწილი ცერცვი, 1 ნაწილი შვრია და
1 ნაწილი მზისუმშირა წარმოადგენს ყველაზე უფრო
სასარგებლო საკვებ შენაერთს, რომ ქათმებმა მო-
გვცენ ერთი რაოდენობის ცილა და გარსი.

ან მეორე მაგალითი: 2 ნაწილი ქაკვი, 1 ნა-
წილი სიმინდი შეადგენს აგრეთვე სასარგებლო სა-
კვებს.

რა შემოსავალს იძლევა ქათამი?

ზოგიერთი ბავში ფაქრობს, რომ ქათამს არ შე-
უძლია მოგვეყვას შემოსავალი და ამიტომ არც კი
ღირს მას ყურადღება მივაქციოთო. სინამდვილეში
ეს ასე არ არის. საზღვარგარეთ თვითეთელ ქათამს
წელიწადში წმინდა შემოსავალი მოაქვს 3 მანეთი-
დან 5 მანეთამდე.

შევხედოთ, თუ რა შემოსავალს იძლევა უბრა-
ლო ქათამი?

ჩვეულებრივად ჩვენებური ქათამი წელიწადში
იძლევა 60 კვერცხს. საერთოდ თვითეთელი ქათამი
იძლევა ერთი-მეორეზე წელიწადში ერთს წიწილს.
თუ ჩვენ ვიანგარიშებთ ათეთელ კვერცხს 30 კაპ.
მაშინ სულ მთელი წლის ჯამი იქნება 1 მან. 80
კაპ. ზაფხულობით თვითეთელი წიწილი ღირს 50 კაპ.
თვითონ ქათმის ხორცი ეღირება მანეთი, სულ ყვე-
ლა ესენი მოგვცემს 3 მან. 30 კაპ.

თუ ჩვენ მთელი წლის განმავლობაში ქათამს
მივცემთ შეთანხმებულ გირვანქა კაკალს,—მივიღებთ
მთელი წლის განმავლობაში 2 ფუთ და 4 გირვან-
ქას, რაც, ფულზე რომ გადავიყვანოთ, შეადგენს 2
მან. 10 კაპიკს. თუ გამოვაკლებთ მიღებულ შემო-
სავალს ამ ხარჯს, მაშინ მივიღებთ წმინდა შემოსა-

ვალს 1 მან. 20 კაპ. ეს მაშინ, როდესაც ქათამი
ცოტა კვერცხს დებს. გარდა ამისა, რასაკვირველია,
შეგვიძლია ნაწილი შევცვალოთ უფრო იაფი, მაგრამ
ამგვარადვე სასარგებლო საკვებით; აგრეთვე შეი-
ძლება საკვებზე და კვერცხებზე ფასები შეიცვალოს;
რომ ქათამმა უფრო მეტი შემოსავალი მოგვ-
ცეს, საქიროა ზომების მადება. დავასახელებთ ზო-
გიერთ მათგანს.

საზღვარგარეთ წიწილებს სჩეკენ არა ქათამები,
არამედ მანქანა, ინკუბატორი ეწოდება. 21 დღეს
ქათამი ზის კვერცხზე, ხოლო შემდეგ კი თვეზე მეტს
წიწილებს „პატრონობს“ და „ზრდის“. ამგვარად,
ამ ხნის განმავლობაში ის მომცდარია და არ დებს კვერ-
ცხებს, ხოლო, როდესაც ამ საშუალოს ასრულებს
ინკუბატორი, მაშინ ქათამი კვლავ განაგრძობს კვერ-
ცხის დებას. აი ქათმის ნაყოფიერების გაზრდის
ერთ ერთი საშუალება.

შემდეგ დიდი მნიშვნელობა შემოსავლის საქმე-
ში აქვს კვერცხების კოოპერატიულ დაგროვებას.
ზოგიერთი ცნობების თანახმად, ომამდე კერძო ვა-
ჭარი ყოველ ათას კვერცხზე იგებდა 3—7 მანეთს
ზაფხულობით, ხოლო ზამთრობით 10 მანეთამდე.
უკანასკნელი წლების განმავლობაში საზღვარგარეთ
გადაიტანეს 4 მილიარდი ცალი კვერცხი, რომლის
გაყიდვისაგან გლეხთა მეურნეობამ დაჰკარგა, თუ მი-
ვღებთ მხედველობაში, რომ თვითეთელ ათასზე სა-
შუალოდ კერძო ვაჭარი იგებს 5 მან.—საერთო
ჯამი 20 მილიონი. ეს თანხა კი საკმაოდ მნიშვნე-
ლოვანია.

ამ ფაქტიდან კი ნათლად ვხედავთ, რომ კვერ-
ცხების გაყიდვა უნდა დავაყენოთ კოოპერატიულ
ნიადაგზე, გავსაღოთ ის კოოპერაციის საშუალებით,
რომელიც არ მოატყუებს გლეხებს, როგორც ამას
შეგვიან კერძო ვაჭრები.

აი ქათმის შემოსავლიანობის გაძლიერების ზო-
გიერთი საშუალება ცხოვრებაში, გლეხებში მის გა-
ტარებაზე უნდა იზრუნოს ყოველმა პიონერმა.


აგრონომი ლ. შტანდარაძე.

თხილთგაპთიკული ნავეზი და ტიკვეზი.

„კატამარანი“. კატამარანის ასაგებად საქიროა
სრულიად მარტივი მასალები. იზოვეთ ორი გრძე-
ლი დვირე; ორივე დვირეს ბოლოები ერთი მხრივ
წამახვეთ, რაც მომავალი კატამარანის ცხვირი იქ-
ნება.

ორივე დვირე დასდეთ ერთიმეორესგან 1 მეტ-
რის დაშორებით და აღნიშნეთ წერტილები, სა-
დაც გაუკეთებთ ერთმანეთის შემაერთებელ სარებს,
რისთვისაც აღნიშნული ადგილები უნდა ამოხჭრათ
მის ჩასასმელად და მტკიცედ გაკეთებისათვის. ბურ-

ლით გახვრიტეთ იგივე ადგილები და შიგ გაუყარეთ შემაერთებელი სარები (ლატნები).



სურ. № 1.

ნაოსანის დასაჯდომი გააკეთეთ პატარა კუნძისაგან, რომელიც შუაში უნდა გაიპოს და ბრტყელი მხარით ჩადებულ იქნას იმ ამონაქერში, რომელიც სპეციალურადაა გაკეთებული კატამარანის წინა მხარეში.

რომელიმე ძველი ფიჭვის ფიცრებისაგან გააკეთეთ ორი ნიჩაბი და კატამარანი მზად იქნება. მისი წყალში ჩაშვება უკვე შესაძლებელია. ის მშვენიერად იკავებს თავს წყალზე და არც სახიფათოა, რასაკვირველია იმ შემთხვევაში, თუ ამორჩეულია საკმაოდ სქელი დვირები, რომ შეეძლოს მას ნაოსანის სიმძიმე აიტანოს.

„რობინზონის ტივი“.


რობინზონის ტივი თავისი სიდიდით და ღირსებით რამდენიმედ აღემატება კატამარანს და მას შეუძლია მოითავსოს რამდენიმე კაცი.

მის ასაგებად საჭიროა შემდეგი იარაღები: ცუელი, ნაჯახი და ზურლი.

რამდენიმე ყოჩად ბიჭს, რომელთაც ამ იარაღების ხპარება ეხერხებათ, შეუძლიათ აავონ ასეთი სახის ტივი ძლიერ მცირე ხანში, ასაშენებელი მასალის შოვნა შეიძლება ყოველი ტყის ან მდინარის ნაპირას, სადაც კი ტყე არის.

საშუალო ზომის ტივისათვის უნდა მოიძებნოს ექვსი ან შვიდი დვირე, დიამეტრით 25 სმ. მათში ყველაზე უდიდესი არ უნდა აღემატებოდეს ხუთ მეტრს სიგრძით.

შეძლებისდაგვარად აარჩიეთ სწორი დვირები. ყველაზე უდიდესი და სქელი დვირე უნდა მოთავსდეს ტივის შუაში, დანარჩენები მის ორივე მხარეზე და გადაბმული უნდა იყოს ისე, როგორც სურათზეა ნა-




სურ. № 2.

ჩვენები. დვირების ბოლოები წამახული უნდა იყოს (იხილეთ სურათი № 1).

დაამაგრეთ დვირები სქელი ფიცრებით. ფიცრები ბურლით უნდა გაიხვრიტოს ისე, რომ მასთან ერთად გაიხვრიტოს თვით დვირებიც. შემდეგ მასში უნდა ჩაისოს მსხვილი ჯოხები. ეს ჯოხები წყალში გაიბერება და უფრო მტკიცედ იქნება შიგ ჩასმული, ვიდრე რკინის ლერსმნები.


ტივზე უნდა გადაიშლოს კარავი. ფუძე გააკეთეთ ცაცხვის ხის ტოტებისაგან, რომელიც უნდა მოლუნოთ და ტუკის ზედაპირზე დაამაგროთ მოხრილად, რისთვისაც უნდა გამოიყენოთ ტივში გახვრეტილი ადგილები, რადგან მასში უნდა ჩაუშვათ მისი ბოლოები.

ასეთ საფუძარზე უნდა გადასტუმოთ ბრეზენტი. (იხილეთ სურათი). წვერზე უნდა დამაგრდეს იალქანი, რაზედაც შეიძლება ბაირადის აღმართვაც.



სურ. № 3.

ტივის ორივე ნაპირზე ჩამაგრეთ თითო ცალი პალო; ასეთივე პალო უნდა გაკეთდეს ტივის წინა მხარეზეც, საქვსთან. მისი ბოლოები უნდა იყოს წვრილი და ისეთი სიმაღლის, რომ შესაძლებელი იყოს მასზე დამაგრებული ნიჩბების ზეზღურად მოსმა.



სურ. № 4.

კარგია, რომ ნიჩბებს თითო ბოლო განიერებული ჰქონდეს, რისთვისაც ნიჩბებად გამოჭრილ ფიცრებს ერთ მხარეს უნდა დაემაგროს პატარა ფიცრები, რითაც ტივის წაყვანა უფრო ადვილდება.

ხელსაყიდლად სამი ფუტის დაშორებით უნდა გაკეთდეს ნახვრეტები, რომ შეიძლებოდეს ამ ნიჩბების ჩასმა პალოებზე (იხილეთ სურათი).

წინა მხარეზე ბრტყელი ქვა რომ დასდოთ, გექნებათ კერა, რომ დვირებს შორის ტივზე წყალი არ ამოლიოდეს, ტივის წინა მხარე უნდა დაჰფაროთ ხის ტოტებით.

ბრძოლის ველის დღეები.

(წითელარმიელის დღიურიდან).

ბამზავარება ბრძოლის ველზე.

სალამოთი, როგორც ყოველთვის, ჩვენ ვთამაშობდით, გავიხადეთ მძიმე ტანისამოსი, დავრჩით მოკლე შარვლების ანაბარა და გატაცებით შევუდექით ბურთაობას მწვანე მინდორში. ჩვენ ხელით საგორებელი ვეებერთელა ბურთის ირგვლივ ვფუსფუსებით: ვცდილობდით როგორმე ბურთი შეგვეგორებინა მოპირდაპირის კარებში. თამაშობის გახურების დროს, როდესაც მოპირდაპირე იწყებს შეტევას და საცაა ბურთი შეგორდება, შემობრბის ამხანაგი სანდრო და გვეუბნება:

— მორჩით თამაშობას. ხვალ მივალთ ბრძოლის ველზე. სად მივდივართ, არ ვიცით. ვიცით მხოლოდ: ომი იქნება, ისიც რამდენიმე დღით, ახლავე კი უნდა წავიდეთ ბანაკში მომარაგების მოსაგვარებლად.

უივილ-ხივილით და თანაც ვეებერთელა ბურთის ხელის გორებით ვიჩქარით ბანაკისკენ.

გამართულია კარავები და ისმის:

— ჰური მიიღე!

-- ვის არ მივიღია შაქარი, მიიღეთ!

— ტყვისმფრქვეველებო, ახლავე მომართეთ ტყვის მტყორცნელები.

საქმე ბევრია; უნდა მომზადდეს იარაღი, გაზამცდენი, სურსათი, საპონი და ათასი სხვა წვრილმანი. სულ უნდა წესზე და დროზე იყოს, რომ არ დავიგვიანოთ. ფეხსაცმელში პატარა ლურსმანიც რომ იყოს ამოშვერილი,— გიშლის სიარულს, ფეხსაც კი გტკენს.

ახლა ვტყობილობთ, ვიგებთ ომის თადარიგს.

შტაბი, პირველი მსხვერპლები, ფარდოზე შესვენება.

ირიერთაჟა თუ არა, ჩვენც მზადა ვართ. მინდორში ვმწკრივდებით ბანაკის წინ. მოგრილებს ათახელის არტილერია და ხარბახანი, მას მოსდევს სამხედრო სამზარეულო და სანოვავით საგსე ჯაგვა. აქ შეშა და თივაც კია. არის აგრეთვე ხორცსაკევი და ტყვია-წამალი, სულ წასაღებია. შეიძლება ჩვენი ლეგიონი დარჩეს სადმე— მინდორში ან ტყეში შესასვენებლად ფერდოზე.

გზატყეცილზე შევხვდებით ჩამორჩენილ ამხანაგებს. ღრუბლიანი დღეა. ეს კარგია: მზე ჩვენი მტერია ბრძოლის ველზე, ის გვადუნებს, გვაცლის ძალას. ბარგი-ტირთი თუ გამძიმებს, შენ მაშინ ოფლში იღვრები.

დღეს კი ჩვენი შეგობრები— ღრუბლები— ბევრია და ისინი ცაზე ერთმანეთს ეჯიბრებიან სირბილში.

ჩვენც მივდივართ ორკესტრით და სიმღერით. გზადაგზა გვხვდებიან ადგილობრივი მცხოვრებნი.

მეთხუთმეტე ვერსზე მოჩანან და ცხადდებიან ბრძოლის ველის პირველი მსხვერპლები. გამოუწყობი ფეხსაცმელი უსერავს ფეხს და მეომარს აღარ შეუძლია განაგრძოს სიარული. მის ბედზე ჩნდება მკურნალი. იგი იღებს თავისი აბგიდან წამალს და მეომარს შესაფერი დახმარების მიღებისთანავე შეუძლია შორს სვლა სიარული.

ამრიგად, დაქანტულები ვუახლოვდებით ფერდოს. აქ გვექნება ჩვენი კაი შესვენება.

როგორც სოკოები, გავიშალეთ კარვების გაურემო. ბოლავენ სამზარეულოები; კიხინებენ მხვერავი გუნდის ცხენები. კარავთა ცენტრში დგას ავიტ-ჯაგვი. ეს წყნარი, მწვანე ჯაგვია, მხოლოდ მას აქვს საოცარი თვისება: ერთ წუთში გადიქმნება დახატულ გამოფენად. მისი ფარდები იშლება და მასზე ნახავ: ბრძოლის ველის ამბებს. მიიღებ დარიგებას ჰიჰინა-სანიტარიაზე, ნახავ კედლის გახეთს, გაიგებ პოლიტიკურ მიმოხილვას და სხვა ბევრ რამეს. ჯაგვის შიგნიდან გამოიღებ საკეც მაგიდებს, სკამებს, ქადრაკს, ერთი სიტყვით — იქ მთელი კლუგია. ვინცობაა გაწვიმდეს ან მოვიდეს ბრძანება ბრძოლის ველზე გასალაშქრებლად — ეს ჯაგვა ხელად დაიკეტება, თავის საგნებს ჩაალაგებს და დადგება ისევ ისე ჩვეულებრივ მწვანე ჯაგვად.

სძინავთ მეომრებს, იკრეფენ ძალ-ღონეს გზის მეორე ნახევრისთვის. ეს სახიფათო და საპასუხისმგებლო ნაბიჯია. ლეგიონს ირგვლივ ჰყავს ფხიზელი დამცველნი, თვალყურის დამკვირნი.

დღე, ეძინოთ მეომრებს, თუ რომ საჭირო იქნება, ისინი თავის დროზე შექმნიან განგაშს და ახლო არ მოუშვებენ მოწინააღმდეგს.

მტკავალით ზაოგში, ვახუშტაძლით ტყეში, შინც არ ვითხვდით გულს.

დასასვენებელი ფერდოდან ფხიზელად მივდივართ. მოწინააღმდეგეს შეუძლია გაჩნდეს ყოველ წუთში. ცხენოსანი მხვერავნი გაქანდენ წინ. ჩვენი ერთეული მიდის მარჯვნივ ბრძოლის ველის საფარებში. ესენი იფარავენ ლეგიონს ყოველმხრივ მტრის მოულოდნელი დაცემისაგან.

დილით გვცვლიან და მივდივართ სოფელში.

კედლის გახეთის საშუალებით ვიგებთ, თუ რა მოხდა გუშინ, როდესაც ჩვენ ტყეში დავიბენით.



ბაქოლის ამბავი.

(კედლის გაზეთიდან)

იერიშის ნაწილების მთავარი ძალა სოფელთან მი-
დოდა. ჩვენ ყოველ წუთში ვიღებდით ცნობებს, ჩვენ და-
მცველ ნაწილებს და მოწინააღმდეგეს შორის უკვე დაიწ-
ყო ბრძოლა. გზაში გვხვდებოდნენ ჯგუფ-ჯგუფად ტყვეები
დაღვრემილი სახით. ტყვედ ჩავვივარდა ხელში აკრეთვე
თითქმის მთელი განყოფილება თავისი უფროსით.

სასაფრო ჯგუფი მარცხნივ დაიბნა ქაობში და გაე-
ბა მავთულიან ხლართებში. ერთი კურსანტთაგანი ჩამო-
ეკიდა ლობზე, საიდანაც დიდი წვალეებით ჩამოე-
ხსენით.

უკანასკნელი მომენტი ბრძოლისა: დაცვა გადადის
იერიშზე.

სწრფად მოქმედობს იარაღი, იწყებენ მეშაობას
მარტყვის ტყვიისმტყორცნელები. ბოლოს და ბოლოს
ბრძოლა თავდება. ნამეტან დალილობას ვგრძნობთ. ხე-
ლად გაჩნდება გარმონი და ჩვენი კურსანტები ლახათია-
ნად ცეკვავენ ადგილობრივ გოგონებთან.

ტაშვის მტყორცნელთა ცაცხლ ქვეშ.

მოწინააღმდეგის ნიშანზე დამიხვნაა 4, თითოზე
მარჯვნივ და მარცხნივ, — ცეცხლია!

მშრალი ქეჩა ისმის. ბოლოს კვამლში ძლივლა ჩანს
ნიშნები. ერთი-ორი წამის შემდეგ ისინი ქრებიან, ჩვენ
წინ მივდივართ.

— მარჯვნივ, ხესთან, მოწინააღმდეგეს ჯგუფია, —
გადმოგვცემს მხვერაგი.

ჩირგვებადან მოჩანს ნიშნები. ხელახლად ვუტეხთ
სროლას, ჩემ უკან წევს სანდრო და მისი ტყვიები წი-
ვიან ჩემ ყურებთან. სანდრო ჩინებული მსროლელია,
და მე არხეინადა ვარ.

— დაწექ! — ყვირის უცბად სანდრო. ჩვენც ვეკრე-
ბით მიწას, უკნიდან გრიალებენ ტყვისმტყორცნელები,
დაგვხუზუნებენ. ჯერ საშიშია, — მთლად ეკვრები მიწას,
მერე ერგევი. ტყვისმფრქვეველმა შესწყვიტა სროლა.
ჩვენ გადავდივართ შეტევაზე; სადაც გვხვდება ნიშნე-
ბი, — ვესვრით.

— ბარაქალა, ბიჭებო, — გვაქვს ჩვენი მეთაური, —
შედევნი კარგია: მოწინააღმდეგეს ხეირი არ დაეყარა.

ჩვენ შემდეგ ისვრის ზარბაზანი „როზენბერგი“. ეს
„როზენბერგი“ მტერია ტანკებისა და ტყვისმფრქვეველას.
მისი ჯავშნიანი მოწყობილობა ანგრევს ტანკის ჯავშანს.

სასროლად მართავენ ნიშნებს, ვითომდა მოწინააღმ-
დეგის ტყვისმფრქვეველის ბუდეა. ერთი-მეორეზე ისმის
დამაყრუებელი სროლა და ნიშნებს ანადგურებენ.

ლამეა. სოფელში შეუწყვეტელი მოძრაობაა. ქიხვი-
ნებენ ცხენები, სამხარეულო ურიგებს საკმელს მეომრებს.
შიგ სოფელში გამართულია კინო. გლეხებიც აირივნენ
წითელარმიელებთან. ამ „წითელ ეშმაკუნებს“ ისინი
ინტერესით ათვალეიერებენ.

— ტრახ-ტა-ტარა!

ყველანი ყურებს ცქვიტავენ.

— მოემხადეთ ბრძოლის ველისათვის! — ისმის ძლი-
ერი ბრძანება.

მექანიკოსი თავს ანებებს დინამო-მანქანის ტრიალს.
ლამპარი ქრება და წითელარმიელებს თვალი რჩებათ
ეკრანზე. მეომრები მირბიან თავთავიანთი ბინისკენ იარა-
ღის და მოწყობილობისთვის. რედაქცია „დარტყმა“ საქმი-
ანობს: ქობი საესეა ომკორებით, გრძელ მაგიდაზე რა-
მდენიმე კაცი წერს შენიშვნებს. გაზეთი გამოვა ცოტა
დაგვიანებით, შესვენების დროს.

როცა გამოვდივართ სამწკრივოდ, ჩვენ წინ მიდის
მთავარი ძალა, კრიალებენ ჯაგვები. თურმე მოწინააღ-
მდეგემ გადმოლახა მდინარე და იწყებს ჩვენ ნაწილზე შე-
ტევას, ჩვენ გვიხდება უკან დახვევა. ჩვენი ასეული რჩება
არეირგარდში — უკან დახვევის წესრიგიანობისთვის.

ჩვენ ვიწვევთ სოფლის ბოლო ქობისკენ. ირგვლივ
სიბნელე და სიჩუმეა. დივიზიონი წავიდა. მათავე ჩურჩუ-
ლით გვიხსნის საბრძოლველ ამოცანებს.

— მოწინააღმდეგე თავს გვესხმის. ჩვენ უნდა დავი-
ცვათ თავი. ჩვენ საშველად მოგვეცა ათასეული არტი-
ლერია და ცხენოსანი მხვერაგნი. ჩვენი ამოცანაა: ავცდეთ
მოწინააღმდეგეს და თავი შევფაროთ სოფელში. გაფრ-
თხილებთ: ნუ ხმაურობთ, იარაღს ნუ აქლარუნებთ, პაპი-
როსს ნუ მოსწევთ. დაიჭირეთ კავშირი ჩურჩულის საშუა-
ლებით...

ვირჩევთ დამცველებს. ძნელია მათი მოვალეობა:
უხდებათ სიარული მინდვრად და ქაობებშიც. უნდა სძლი-
ონ არხი, ხევი და ქები. ხათაბალაა, თუ, ვინიცობაა მხვე-
რაგი მოსწყდება მთავარ ძალებს: წყვილიაღში დაიკარგე-
ბა და მტერს ჩაუვარდება ხელში.

სადაც, იქვე ჰაერში აშრილდება სამი შუშხუნა.
ეს ქიმიური იერიშის ნიშანია. საჩქაროდ გაზამცდელებს
ვმართავთ მოსაგერებელ მდგომარეობაში და როცა აშ-
ხრილდება ცაში წითელი შუშხუნა, მაშინ განვაგრძობთ
გზას გაზამცდენებისკენ.

ჩვენ ყველას მზე მოგვეკიდა. ფეხსაცმელებზე ჯერაც
არ შემშრალა ტალახი. ზოგიერთი კიდევც კოკლობს, მაგ-
რამ სახეზე სიამაყე გვეტყობა.

ხუმრობაა? — 80 ვერსი გავიარეთ ორ დღეში! ეს იმას
ლაღადებს, რომ წითელ მეომრებს მაგრად უჭირავთ ხელ-
ში ვინტოვკები და საბჭოთა ხელისუფლებას მტრის გუ-
ლისად არ გახდიან.



თეატრი



რევოლუციის ნაპერწკალი.

მოთამაშეთა რიცხვი: 20 დან 60-მდე:

სათამაშო ადგილი. მოედანი, მინდორი, დაბაზა — სიგრძით 20 - 30 მეტრი.

მოთამაშეთა განაწილება: მოთამაშეები იყოფიან ორ თანასწორ ჯგუფად. ერთი წარმოადგენს კაპიტალისტებს, მეორე — რევოლუციონერებს. მოედნის თავში ხაზით ინიშნება ადგილები: ერთი — რევოლუციონერების საიდუმლო ბინა, მეორე — კაპიტალისტების ბინა. მანძილი ხაზთა შუა იყოფა შუაში ხაზით. ჯგუფები იქერნ შესაფერ ადგილებს.

რევოლუციონერთა ჯგუფის ერთ-ერთ მოთამაშეს აქვს დამალული წითელი ნაქერი, ან პატარა წითელი დროშა. რევოლუციონერთა ჯგუფების მოთამაშეებს უნდა იცოდნენ, თუ ვის აქვს დამალული წითელი ნაქერი, ე. ი. რევოლუციის ნაპერწკალი. რევოლუციონერების ამოცანაა გააღვივონ ნაპერწკალი კაპიტალისტების ტერიტორიაზე და არ იქნენ შეპყრობილნი.

თამაშის აღწერა: ხელმძღვანელს ნიშანზე ჯგუფები მიდიან შუა ხაზისკენ და ჩერდებიან ნახევარი მეტრის დაშორებით მისგან. რევოლუციონერების ჯგუფის მოთამაშეები ანძრევენ ხელებს, თითქოს ისვრიდნენ კაპიტალისტების ტერიტორიაზე დროშას, ე. ი. რევოლუციის ნაპერწკალს. როდესაც დროშა გადავარდება კაპიტალისტებისაკენ, რევოლუციონერები წამს მობრუნდებიან და გარბიან შინისკენ, ხოლო კაპიტალიტები მიადევნენ მათ და ცდილობენ დაუღონ ისინი. თუ კაპიტალისტებმა ვერ შესძლეს ვერავის დააღვა, ცდა გამარჯვებით არის დაბლოკებული, ხოლო ვინც დადაღულ იქნა — ის დაპატიმრებულიად ითვლება.

თამაში განისაზღვრება დროით. რევოლუციონერების ჯგუფი იგებს, თუ მან შესძლო თავდასხმის წარმატებით ჩატარება. წინააღმდეგ შემთხვევაში ცდა უშედეგოდ ითვლება.

თამაშის წესები: 1. არ შეიძლება რევოლუციონერების დჭერა, სანამ ისინი არ ისვრიან რევოლუციის ნაპერწკლებს.

2. არ შეიძლება რევოლუციონერების დაჭერა საიდუმლო ბინის ხაზის გადაღმა.


3. რევოლუციონერი, რომელიც კაპიტალისტის მიერ დაიღადა, რჩება თავის ჯგუფში თამაშის გათავებამდე.

საბავშვო მატარებელი

სადგურზე საბავშვო მატარებელი მანევრებს აკეთებდა.

ის მოძრაობდა ხან წინ, ხან უკან.


როდის არის მატარებელი უფრო გრძელი: როდესაც წინ მიდის, თუ როდესაც უკან მიდის?



№ 1

თუ მოცემულ ერთსადიმავე ციფრების ადგილზე ჩავსვამთ ერთსადიმავე ასოებს ისე, რომ გამოვიდეს სიტყვები, თანახმად მნიშვნელობისა, რომელიც მიწერილნი აქვთ მარჯვნივ და შექმდე წაიკითხოთ დასაწყისი ასოები ზვიდან ქვევით, მაშინ მიიღებთ ახალგაზრდათა ერთ-ერთი ორგანიზაციის სახელს.

- 2 3-1-4 — საქმელი.
- 4 6-1-4 — მდინარე საქართველოში.
- 6 1 4 — წყვილი რიცხვი.
- 5-4-5-7 — ქალის სახელი.
- 8-9 1-6-2-7 — ქვეყნის ნაწილი.
- 1-3-10-8-4-4 — სახელმწიფო.
- 4-12-9-4 — შინაური ფრინველი.



№ 2

მოცემულ სიტყვებში—რომი, ჭერი, ასაკი, სილა, ოლია, ხამი, სესე—შესცვალეთ პირველი ასოები, ისე რომ მიიღოთ ახალი სიტყვები, რომელთა პირველი ასოებისაგან მიიღებთ საქართველოს ქალაქის სახელს.

№ 3

მ	ე	ო	ა	დ	ა	ო	რ	ნ
ე	ე	ა	ი	ც	ო	უ	ე	
ი	ო	ც	ხ	ვ	ა	მ		
ვ	ლ	ტ	რ	ი	მ			
უ	ო	ც	რ	ბ				
უ	ი	ი	ა					
ი	ა							
ლ								

მოცემული ასოები დაალაგეთ უჯრედებში ისე, რომ პორიზონტალურ რიგებში მიიღოთ სრული სიტყვები, რომელთა პირველი ასოები მოგვცემენ უდიდესი მოვლენის სახელს.

№ 4

შესცვალეთ კვადრატებში ასოები ისე, რომ გამოგივიდესთ ერთ-ერთი თანამედროვე რევოლუციონური ლოზუნგი.

ს		
ს		
ბ	ა	
ა	რ	უ
ნ	ჩ	რ
მ	ჯ	ე
ბ	ძ	ე
თ	ი	ლ
მ	ო	ო

შ ა რ ა ლ ა

ამხანაგებო! ამ შარადაში
ჩვენ იარაღი ერთი გვჭირდება,
მოკლეა, ძმებო; მის გამოცნობა
ახლა არავის გაუჭირდება.

სამი პირველი ანბანი ახლა
ამ შარადისთვის ბარგია მეტი,
და გაზაფხულის ლურჯი ყვავილის
პირველი ასო არა გვსურს კენტი!

არა გსურს ასო ოთხი ბოლოსი,
დანარჩენს ხუთს კი „უ“ წავემატოთ!
ვიფიქროთ ცხენის ნორჩ შვილს რა ჰქვიან,
დედას დასდევს და არ წავა მარტო.

მოხდა ოქტომბერს, მოხდა დიადი,
წითელი დროშა ააფრიალა,
გაფანტა იმან შავი წყვიადი
და მჩაგვრელები გაატიალა.

ნ. ცხაკაია

გამოდის 1927 წ. გამოდის

თრკვირული საშინაო და საზღვარგარეთო

ქუჩნალი

მოზრდილთათვის

პიონერი

ვალივალი II

ქუჩნალი ს. ს. ს. რ. შველა სკოლეზისათვის სავალდებულოა.

ლენინის სახელობის საქართველოს ბავშთა კომუნისტური ჯგუფების უოველი წევრის, ორგანიზაციის უოველი კოლექტივის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის თვითუელი ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ვალდებულება გამოიწერონ

პიონერი

მიიღება ხელის მოწერა 1927 წლისათვის.

ქუჩნალი ღირს გადაგზავნით:

წელიწადში — 5 მან.

ექვს თვეს — 3 მან.

სამ თვეს — 1 მან. 50 კაპ.

სალკე ნომერი — 25 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთველის გამზირი, № 23, სახელები (მესამე სართული). „პიონერი“-ს და „ნაკადული“-ს რედაქცია.

ელსმენი — 23 — 16

რედაქტორი — სარკელაქიო კოლეზია.